ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: **საქართველოს ისტორია**

კეჟერაშვილი შოთა

1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები და პოლიტიკური პარტიების პროგრამები

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. დიმიტრი შველიძე

თბილისი

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanitarian Sciences

Magister Program: **History of Georgia**

Kezherashvili Shota

Elections of the Constituent Assembly of 1919 and Programs of the Political Parties

The research is done for obtaining the Master Degree in History of Georgia

Head: Assoc. Prof. Dimitri Shvelidze

TBILISI

2019

ანოტაცია

ჩვენი საკვლევი თემა შეეხება საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანოს - დამფუძნებელთა კრების არჩევნებს, მის მოსამზადებელ სამუშაოებს, მასში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებსა და მათ პროგრამებს.

ნაშრომი დაფუძნებულია თემის გარშემო არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე, საარქივო მასალებსა და იმ პერიოდის პრესის მასალებზე.

კვლევის ფარგლებში მიზნად ვისახავთ ერთ ნაშრომში წარმოვაჩინოთ, როგორც არჩევნები და მისი მოასამზადებელი პროცესი ასევე პოლიტიკური სუბიექტების პროგრამების და იდეოლოგიების დაპირისპირება, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა.

100 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ეს არჩევნები ჩატარდა და მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა არასდროს არ კარგავს აქტუალობას, წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ვინაიდან ეს არჩევნები საქართველოს უახლეს ისტორიაში შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ-ერთ ყველაზე დემოკრატიულ არჩევნებად.

თემის კვლევა ხელს შეუწყობს საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდის უკეთ შესწავლას, იმ ფაქტებისა და მოვლენების უკეთ გაშუქებას, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკა და მისი მოღვაწეები ღირსეულ ადგილს იკავებდნენ მაშინდელ მსოფლიოში.

საკითხის კვლევისას ვრწმუნდებით, რომ დამფუძნებელთა კრების არჩევნები მისი დებულებით, საარჩევნო კომისიით, პოლიტიკური პროცესებით, გამოხატავს იმ მაღალი ხარისხის დემოკრატიას, რისი გამოცდილებაც საქართველოს ჯერ კიდევ 100 წლის წინ ჰქონდა.

Annotation

Our research topic is free elections of Georgia's first democratic republic's representative body – founders' assembly, it's preparation work, participant parties and their election programs.

The research is based on scientific literature, archival and press materials of that period that exists around our topic.

Within our research we aim to present as elections and its preparation process, as also political parties election programs and ideological confrontation.

100 years have already passed after the first free elections of Georgia been held and although this topic never loses its significance, this year has attracted special attention because this election can be regarded as one of the most democratic elections in Georgia.

The research of the topic will encourage better survey of Georgia's first democratic republic, the coverage of the facts and events thanks to what the Republic of Georgia and its figures occupied a decent place in that world.

Through the research of the issue we are assured that the election of the founders' assembly with its statute, election commission and political processes expresses the high quality of democracy that Georgia had had more than 100 years ago.

შინაარსი

შესავალი **6**

თავი პირველი

დამფუძნებელი კრების არჩევნები **9**

§1.1. მოსამზადებელი პერიოდი დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის. 9

§1.2. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო დებულება. 11

თავი მეორე

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები და მათი პროგრამები **18**

§2.1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. 18

§2.2. საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია 24

§2.3. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. 36

§2.4 . სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“. 41

§2.5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია 42

§2.6. საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო. 45

§2.7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია 45

§2.8. საქართველოს ეროვნული პარტია. 52

§2.9. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია. 56

§2.10. შოთა რუსთაველის ჯგუფი. 57

§2.11. დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი. 57

§2.12. ბორჩალოს მაზრის მუსულმანები. 58

§2.13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ). 58

§2.14. ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა. 59

§2.15 საქართველოს ელინთა პარტია. 59

მესამე თავი

წინასაარჩევნო კამპანია და პარტიების იდეოლოგიური დაპირისპირება **60**

დასკვნა **79**

გამოყენებული ლიტერატურა: **81**

შესავალი

საქართველოს უახლეს ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის პერიოდს, რომელმაც 1028 დღის განმავლობაში იარსება. ეს არის პერიოდი, რომელიც თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს საფუძვლად, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში გამოვლენილი დემოკრატიის მაღალი ხარისხი დღემდე სამაგალითოა ჩვენი პოლიტიკური სისტემისთვის და პოლიტიკური მოღვაწეებისთვის. ამ პერიოდის განუყოფელი ნაწილია საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელთა კრება, რომელიც გამოირჩევა, როგორც მისი სამზადისით, ასევე მისი დებულებით, საარჩევნო კომისიის მიერ წარმოებული სამუშაოებითა და მთლიანი პროცესით. ამ პერიოდში ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და საგარეო პოლიტიკური კრიზისის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულიყო მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული არჩევნები.

საკანონმდებლო ორგანო, პირველ რესპუბლიკაში, დამფუძნებელთა კრებამდეც არსებობდა (1917 წლის 22 ნოემბერს შექმნილი საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელსაც 1918 წლის 8 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს პარლამენტი ეწოდა). მიუხედავად იმისა, რომ ორივე წარმოადგენდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლეს საკანონდებლო ორგანოს, დემოკრატიის ხარისხისთვის საჭირო გახდა ეს ორგნო ხალხის მიერ დემოკრატიული არჩევნების გზით ყოფილიყო არჩეული. იმ პერიოდის ქართველი პოლიტიკოსები კარგად იაზრებდნენ, რომ ამ გზით ჩატარებული არჩევნები პირველ რიგში, საჭირო იყო ქვეყნის პოლიტიკური ზრდისთვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ყოფილ რუსეთის იმპერიაში გამოიწვია საარჩევნო სისტემის მრავალსაფეხურიანობის გაუქმება. მამაკაცებს 20 წლის ზევით მიეცათ საშუალება არჩევნებში მიეღოთ მონაწილეობა, საქართველოში საარჩევნო ხმის

უფლება მოიპოვეს ქალებმაც, რაც იმ დროისთვის დიდი იშვიათობა იყო[1]. 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის პირველი მოსამზადებელი სამუშაოები გაწია ეროვნული საბჭოს სპეციალურმა კომისიამ 1918 წლის 28 ივნისიდან-24 ოქტომბრამდე, ხოლო 1918 წლის 26 ნოემბრიდან პარლამენტში მუშაობა დაიწყო სპეციალურმა საარჩევნო კომისიამ. კომისიის მიერ გაწეული სამუშაო ნამდვილად შრომატევადი აღმოჩნდა.

ძალიან მნიშვნელოვანია საარჩევნო დებულება, რომელიც უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ პირველ პროგრესულ ნაბიჯად. სწორედ ამ დებულების შინაარსის მიხვედით ვითარდება შემდგომი პროცესები და დებულების პროგრესულობა იძლევა საშუალებას ჩატარდეს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს პირველი საყოველთაო და დემოკრატიული არჩევნები.

დამფუძნებელთა კრების არჩევნების განსაკუთრებულობა დიდ წილად განაპირობეს მასში მონაწილე პოლიტიკურმა სუბიექტებმა. ამ პერიოდში საქართველოში პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად დასრულებული იყო. აგრეთვე, არჩევნების წინ ჩამოყალიბდა, რამდენიმე პარტია, რომელთა მიზანიც იყო დამფუძნებელთა კრებაში მოხვედრა, ასევე იყო შემთხვევები როდესაც ერთ რომელიმე პარტიას გამოეყოფოდა მცირე ჯგუფი, რომელიც აყალიბებდა სხვა დამოუკიდებელ მცირე პარტიას (მაგ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და სოციალ-ფედერალისტების პარტია). ასევე, დამფუძნებელთა კრების არჩევნებში მონაწილეობას იღებდნენ ინტელიგენციისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები. არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურდათ სრულიად სარუსეთო ან კავკასიის მასშტაბის პოლიტიკურ ორგანიზაციებს, თუმცა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მათ არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ უცხო ქვეყნის არჩევნებში, თუმცა ამის სურვილი გამოთქვეს რუსეთის რამოდენიმე პარტიამ (კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია), ასევე სომხეთის სახალხო პარტიამ "დაშნაკცუტიუნი", აზერბაიჯანის მუსავატი. ამ პარტიებიდან

[1] **ბ. კუპატაძე.** საქართველოს ხელისუფლების ისტორია. თბ, 2009. გვ. 111.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიიღო ორმა პარტიამ (N4 სომეხთა რევოლუციონური პარტია "დაშნაკცუტიუნი და N13 რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია), რასაც საზოგადოება პროტესტით შეხვდა. განსაკუთრებით პროტესტს ზრდიდა საქართველო-სომხეთს შორის ახლად დასრულებული ომის ფონი[2]. საბოლოოდ, არჩევნებში მონაწილეობა 15-მა პარტიამ მიიღო.

ჩვენ თემაში განხილული იქნება ყველა პარტიათა პროგრამები, მათი დაპირებები და ზოგადად მათი იდეოლოგია. თემის ამ ნაწილში საინტერესო აღმოჩნდა ის მსგავსებები და განსხვავებები მიმოგვეხილა, რაც ამ პარტიებს შორის არსებობდა.

საინტერესო იყო მათ შორის გამართული წინა საარჩევნო პოლემიკა, რომელიც ძირითადად გაზეთების ფურცლებზე მიმდინარეობდა, რამოდენიმე პარტიას გააჩნდა საკუთარი საგაზეთო ორგანიზაცია, რაც მათ ხელში მნიშვნელოვან პროპაგანდისტულ იარაღს წარმოადგენდა. ამ პოლემიკაში მონაწილეობდნენ პარტიების ლიდერები, რომლებიც ამავდროულად გამორჩეული პუბლიცისტები იყვნენ. მესამე თავს სწორედ გაზეთების ფურცლებზე წარმართულ პოლემიკას დავუთმობთ.

წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნებს არ ჩაუვლია ხარვეზების გარეშე, სხვადასხვა სიაში აღმოჩნდა კანონით შეუსაბამო ფაქტები, ხშირ შემთხვევაში ხარვეზები დაკავშირებული იყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების საარჩევნო სიებში შეყვანაზე. მსგავსი ხარვეზი დაფიქსირდა მაგალითად მაშინ, როდესაც ცნობილი პუბლიცისტი მიხაკო წერეთელი შეყვანილ იქნა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საარჩევნო სიაში, ასევე სოციალისტ-ფედერალისტთა საარჩევნო სიაში, არადა არც ერთ პარტიას არ გააჩნდა ავთენტური ხელმოწერა და დამოწმებული კანდიდატის თანხმობის წერილი[3].

---

[2] **ბ. კუპატაძე.** საქართველოს ხელისუფლების ისტორია. თბ, 2009. გვ, 111.

[3] **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ. 27.

თავი პირველი

დამფუძნებელი კრების არჩევნები

§1.1. მოსამზადებელი პერიოდი დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, აპრილში ჩამოყალიბდა „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო“, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს დამოუკიდელობის აღდგენის საქმეში. 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელიც შედგებოდა 324 დელეგატისგან. საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 კანდიდატი. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა სოციალ-დემოკრატებს - 28 კაცი. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობის ფორმად გამოცხადდა დემოკრატიული რესპუბლიკა, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები დაეკისრა ეროვნულ საბჭოს. 1918 წლის 8 ოქტომბერს ეროვნულ საბჭოს ეწოდა საქართველოს პარლამენტი[4].

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ითვალისწინებდა უახლოეს მომავალში დამფუძნებელთა კრების არჩევნების ჩატარებას, თუმცა შიდა პოლიტიკურმა და საგარეო ფაქტორებმა ხელი არ შეუწყო ამ პროცესს. დროებითი პარლამენტის ყველა ფრაქციას დამფუძნებელთა კრების მოწვევა საჭროდ მიაჩნდა. მართალია ეროვნული

[4] **ბ. კუპატაძე.** საქართველოს ხელისუფლების ისტორია. თბ, 2009. გვ, 106-108.

საბჭო თავის დროზე პარიტეტული პრინციპის საფუძველზე ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს საკანონმდებლო ორგანო არ იყო შექმნილი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით. 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა“, რომელიც 10 თავისა და 119 მუხლისაგან შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემოთ დამფუძნებელთა კრების 130 წევრის არჩევას, არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და მისდამი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს[5].

საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები 1919 წლის 10 იანვარს განხორციელდა, რომელიც ძირითადად ამომრჩეველთა საარჩევნო სიებში დამატებასა და ამორიცხვას შეეხებოდა. 1919 წლის 10 იანვრის პარლამენტის სხდომაზე მიიღეს კანონი „დამფუძნებელთა კრების არჩევნების დანიშვნისა“, თავდაპირველად საქართველოს პარლამენტი და ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისია არჩევნების გამართვას 1919 წლის გვიან გაზაფხულზე ვარაუდობდა. შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი 1918 წლის 29 დეკემბერს, კომისიის წინაშე ინიციატივით წარსდგა, რომელიც არჩევნების 1919 წლის თებერვალში გამართვას უკავშირდებოდა. თარიღის შეცვლის მიზეზი საგარეო ფაქტორებმა განაპირობა, 1919 წლის იანვარში პარიზში იხსნებოდა სამშვიდობო კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც საქართველოს დელეგაციას აუცილელად უნდა მიეღო მონაწილეობა, ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლების გამგზავრება, ამიტომ 1919 წლის 10 იანვარს, დამფუძნებელთა კრების არჩევნების თარიღად საქართველოს პარლამენტმა 14 თებერვალი გამოაცხადა[6].

---

[5] **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ, 2001. გვ, 136.

[6] **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ. 14-15.

§1.2. ცენტრალური საარჩევნო კომისია და საარჩევნო დებულება.

„დამფუძნებელი კრების საარჩევნო“ დებულების ტექსტი გამოქვეყნდა 1918წ. 22 ნოემბერს. მასში ორჯერ შევიდა ცვლილება, პირველად 1919 წლის 10 იანვარს პარლამენტის მიერ და მეორედ - 1919 წ. 21 ნოემბერს დამფუძნებელი კრების მიერ[7].

საარჩევნო დებულება „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა“ შედგება 10 თავისა და 119 მუხლისგან, დებულების პირველი თავი იყოფა ორ მუხლად. პირველი თავი ამ დებულებისა ოქროს ასოებით ჩაიწერა საქართველოს დემოკრატიის ისტორიაში: „1. დამფუძნებელ კრებას შეადგენენ წევრები, არჩეული მცხოვრებთა მიერ საყოველთაო - განურჩევლად სქესისა, თანასწორის, პირდაპირის და ფარულის ხმის მიცემით პროპორციული წარმომადგენლობის წესისამებრ. მეორე მუხლის მიხედვით დამფუძნებელთა კრების არჩევნებისთვის უნდა დაარსებულიყო ერთი საარჩევნო ოლქი, გასიზაღვრა დამფუძნებელთა კრების წევრთა რაოდენობა 130 , და ითქვა, რომ ხმის მისაცემად რესპუბლიკა გაიყოფოდა საარჩევნო უბნებად“[8].

საარჩევნო დებულები მეორე თავის მიხედვით, არჩევნებში ხმის მიცემის უფლება ქქონდათ ორივე სქესის მოქალაქეებს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 20 წელი. არჩევნებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ მათ, ვინც გიჟად და შეშლილად იყო მიჩნეული, ასევე ყრუ-მუნჯებს და სხვისი მზრუნველობის ქვეშ მყოფთ[9]. ამასთან, მეხუთე მუხლი განმარტავს ვის არ აქვს უფლება მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. მესამე თავიში მოცემულია თუ ვის დაევალა არჩევნების წარმოება: - რესპუბლისკის ცენტრალურ, საქალაქო, სამაზრო, სოფლის წვრილ საზოგადოებებსა და სოფლის წვრილ საარჩევნო კომისიებს. ასევე, ეს მუხლი მიხედვით, სოხუმის და ზაქათალის ოლქში საარჩევნო პროცედურებს ხელმძღვანელობენ მათი საარჩევნო კომისიები[10].

საარჩევნო კომისია უნდა შემდგარიყო პარლამენტის მიერ არჩეული 21 წევრისგან. კომისიაში უნდა ყოფილიყო მინიმუმ თითო წარმომადგენელი ყველა პარტიიდან,

---

[7] **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 13.

[8] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 1.

[9] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 2.

[10] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 3.

კომისიას შემდგომში უნდა აერჩია თავმჯდომარე, ამხანაგი და ხაზინადარი. კომისიას ევალებოდა საერთო თვალყურის დევნება დამფუძნელი კრების არჩევნების მსვლელობისათვის, ზედამხედველობას უწევდა სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიებს, ამტკიცებდა სამაზრო, საქალაქო და საოლქო კომისიების მიერ წარდგენილ საარჩევნო უბნებს, ახდენდა საკანდიდატო სიების მიღებას, დანომვრას, შემოწმებასა და მათ საჯაროდ გამოქვეყნებას საარჩევნო უბნებზე. ასევე, კომისიას უნდა მოეხდინა ხმების დათვლა მთელ რესპუბლიკაში, გამოეცხადებინა შედეგები და დამფუძნებელთა კრების წარმომადგენელთა სია, რომელთაც გადასცემდა შესაბამის მოწმობებს. სამაზრო საარჩევნო კომისიები აარსებდნენ სოფლის საზოგადოებისა და წვრილი სასოფლო ერთეულების კომისიებს, პასუხისმგებლები იყვნენ ამ კომისიების მუშაობაზე, საარჩევნო სიების შესაბამის ვადებში შედგენასა და მის გამოქვეყნებაზე. ასევე, ხმების დათვლასა და ამ შედეგების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გადაგზავნაზე. იმ ქალაქებში, რომლის მაცხოვრებლების რაოდენობა აღემატებოდა 2000-კაცს იქმნებოდაა მთავარი საქალაქო საარჩევნო კომისია. ამ კომისიებს ირჩევდნენ ქალაქის საბჭოები თავისი წრიდან მოქმედი პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისია შედგებოდა 9 წევრისაგან, ქუთაისისა და ფოთის 7-7, ხოლო დანარჩენი ქალაქების 5-5 წევრისაგან. ქალაქის საარჩევნო კომისიებს ფაქტიურად იგივე უფლებები ჰქონდათ, რაც სამაზრო კომისიებს, თუმცა მხოლოდ ქალაქის მასშტაბით[11].

მეოთხე თავის 26-დან 41-ის ჩათვლით მუხლები, შეეხებოდა საარჩევნო სიებს. ამ თავის მიხედვით საარჩევნო სიები უნდა შემდგარიყო ყველა უბანზე ცალ-ცალკე. თითოეული ამომრჩეველი სიაში შეიძლება შეყვანილი ყოფილიყო მხოლოდ ერთხელ. საარჩევნო სიების შედგენა ევალებოდა მთავარ საქალაქო, სამაზრო, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებში საოლქო კომისიებს. საარჩევნო სიაში უნდა შესულიყო ამომრჩევლის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სარწმუნოება, ეროვნება. აგრეთვე, იცოდა თუ არა წერა–კითხვა, რა სკოლა ჰქონდა დამთავრებული, რა ხელობის იყო და სად იყო მიწერილი 1914 წლის 19 ივლისამდე ძველი სტილით. გვარები საარჩევნო უბანზე

[11] **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 13-14.

ანბანის მიხედვით უნდა ყოფილიყო დალაგებული. მე-5 თავის 42-52 მუხლები შეეხებოდა დამფუძნებელი კრების საკანდიდატო სიებს. საარჩევნო კომისიაში საკანდიდატო სია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო არჩევნებამდე არაუგვიანეს 20 დღისა. თითოეულ საკანდიდატო სიას ხელს აწერდა საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 50 პირი, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო გვარი, სახელი, მამის სახელი და საცხოვრებელი ადგილი. სიას თანდართული უნდა ჰქონოდა კანდიდატების განცხადება, რომ ისინი თანახმანი იყვნენ კენჭი ეყარათ წარმოდგენილი სიით. საკანდიდატო სიის შემომტან ჯგუფს უნდა ჰყოლოდა თავისი წარმომადგენელი ცენტრალურ კომისიაში. ერთ ამომრჩეველს უფლება ჰქონდა ხელი მოეწერა მხოლოდ ერთი საკანდიდატო სიისათვის[12].

მეექვსე თავის 53-ე და 84-ე მუხლები იყო, „საარჩევნო ბარათების მიცემა და დათვლა". ამ თავის მიხედვით, ხმის მიცემა ხდებოდა საარჩევნო ბარათებით. ეს ბარათები გარეგნულად ერთნაირი უნდა ყოფილიყო და პარტიის დასახელებასთან და ნომერთან ერთად თან უნდა ჰქონოდა საკანდიდატო სია. აღნიშნული ბარათები საჯარო უნდა გამხდარიყო არჩევნებამდე არანაკლებ 35 დღისა პირველი რედაქციით, თუმცა 10 იანვრის დამატების შემდეგ, დღეების რაოდენობა 30-მდე შემცირდა[13].

მეშვიდე თავს ეწოდება «არჩევნების შედეგების გამორკვევა". ამ თავში ნათქვამია, რომ მას შემდეგ, რაც კომისია დაითვლის ხმებს, რესპუბლიკის მასშტაბით, პროპორციულად დაითვლება კრების წევრთა რაოდენობაზე, ეს განაწილების წესი განამრტებული 87-3, 88-ე და 89-ე მუხლებში[14].

მერვე თავი «დამფუძნებელთა კრების წევრობაზე უარის მთქმელთა ადგილების დაჭერის წესი" გვეუბნება, რომ თუ რომელიმე კრების წევრი უარს იტყვის მის მანდატზე, მის ადგილს დაიკავებს მისივე პარტიის წევრი, რომელიც დამფუძნებელთა კრების

---

[12] **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 14.

[13] **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 15.

[14] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 24.

არჩევნებში, მისი პარტიის სიაში იყო და ქონდა ყველაზე მეტი ხმა მათ შორის ვინც ვერ მოხვდნენ დამფუძნებელთა კრებაში[15].

მეცხრე თავი - „არჩევნების თავისუფლებისა და სისწორის დაცვა“, მიგვითითებს, რომ ადამიანები, რომლებიც შეეცდებოდნენ საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლას იქნებოდნენ დასჯილნი სხვადასხვა სასჯელით. ამ თვში განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ 104-ე და 105-ე მუხლებზე, 104-ე მუხლში, სადაც წერია: „ვინც ამომრჩეველს გადაიბირებს დაპირებით, მისთვის ან მისი ოჯახის წევრისთვის პირადის ან ქონებრივის სარგებლობის მიცემით რომ უკანასკნელმა არ მიიღოს მონაწილეობა დამფუძნებელ კრების არჩევნებზე სატუსაღოში ჩამწყვდევით[16]. ამ მუხლის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი ალბათ იყო ის, რომ ჩვენთვის ცნობილი რუსული ორგანიზაციები, რომლებმაც დაკარგეს გავლენა საქართველოში ყველანაირად ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ დამფუძნებელთა კრების არჩევნების ჩატარებაში და ბოიკოტს უცხადებდნენ მას.

რაც შეეხება 105- ე მუხლს აქ წერია: „ვინც გაუმასპინძლდება ამომრჩეველს იმ მიზნით, რომ დამფუძნებელ კრებაში არჩევნების დროს ხმა მიაცემინოს თავისი ან სხვა პირთა სასარგებლოდ, დაისჯება დატუსაღებით[17]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილის დებულებისა დღემდე აქტუალურია წინასაარჩევნო პერიოდში, ჩვენი აზრით დღეს ამ მუხლებს უფრო კარგად რომ იაზრებდეს ჩვენი პოლიტიკური ელიტა, უფრო მაღალი სტანდარტის პოლიტიკური კულტურა გვექნებოდა.

მეათე თავი კი შეეხება ფინანსურ ნაწილს და ხარჯებს, რომელსაც წევს საარჩევნო კომისია, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დებულება წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ იურიდიულ საბუთს, რომელიც იმ დროისთვის იყო და დღესაც შეგვიძლია მივიჩნიოთ მაღალი მატერიალური და ღირებულების მატარებელ დოკუმენტად.

---

[15] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 25.
[16] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 28.
[17] დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918. გვ, 28.

რაც შეეხება საქართველოს დამფუძნებელი კრების ცენტრალური საპარლამენტო საარჩევნო კომისიას, მისი რაოდენობა და შემდგენელობა მუდმივად იცვლებოდა, თუმცა უცვლელი იყო ერთი პრინციპი, თითოეულ საარჩევნო სუბიექტს მინიმუმ ერთი ადგილი ყოველთვის ქონდა გამოყოფილი კომისიაში. პარლამენტში წარმოდგენილ ფრაქციებს, პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად კომისიაში განსხვავებული რაოდენობის მანდატები ჰქონდათ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში სამი ძირითადი თანამდებობა არსებობდა: კომისიის თამჯდომარე, კომისიის მდივანი და კომისიის ხაზინადარი[18].

აღნიშნულ კომისიაში შევიდნენ, სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან: 1) ალ. ლომთათიძე, 2) სილ. ჯიბლაძე, 3) მელ. რუსია, 4) გ. ცინცაძე, 5) ო. სოლოღაშვილი, 6) ვლ. ჟღენტი, 7) ი. ფირცხალაიშვილი, 8) სპირ. თევზაძე, 9); სოციალისტ-ფედერალისტებიდან: 1) არჩ. ჯაჯანაშვილი, 2) ი. ღლონტი; ეროვნულ-დემოკრატებიდან: 1) გ. გვაზავა, 2) ი. ლორთქიფანიძე, 3) ალ. ასათიანი; დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატები: 1) გრ. ვეშაპელი; სოციალ-რევოლუციონერები: 1) ი. გობეჩია, 2) ი. თევზაძე; რადიკალ-დემოკრატები: 1) ალ. ახმეტელი; "ალიონის" ჯგუფი: 1) ბ. ქავთარაძე; დაშნაკცუტუნის პარტიიდან: 1) დ.დავითხანოვი; დამოუკიდებელთა კავშირი: 1) მაყაშვილი; თათრების ბლოკი: 1) აბდულ-რახიმ ახვერდოვი; კადაგების მხრიდან: დოლუხანოვი.[19]

კომისიის თავმჯომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ალექსანდრე ლომთათიძე, კომისიის მდივნად ანა (ოლა) სოლოღაშვილი, რომელიც ასევე სოციალ-დემოკრატი იყო. კომისიაში ოპოზიციურ ძალებს დიდი გავლენა გააჩნდათ და ერთ-ერთ მთავარ თანამდებობას, კომისიის ხაზინადარის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გიორგი გვაზავა იკავებდა[20]

დამფუძნებელთა კრების საარჩევნო კომისია, მიუხედავად მცირე ფინანსური რესურსისა, ცდილობდა საარჩევნო პროცესის კარგად ორგანიზებას, კომისია ცდილობდა

---

[18] **ი. ირემაძე, ს ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ, 28.

[19] **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 20-21.

[20]საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ, 124.

მოეზიდა კვალიფიციური კადრები, ასევე მოეხდინათ მათი გადამზადება, კომისიამ 1918 წლის 27 ნოემბერს მიიღო დადგენილება, რომელიც ქუთაისსა და თბილისში საქალაქო, სამაზრო და საუბნო კომისიის წევრთათვის სწავლების გამართვას შეეხებოდა[21].

1918 წლის 31 დეკემბერს კომისიამ, შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, საგარეო პოლიტიკური ფაქტორების გამო არჩევნების თარიღად 1918 წლის 14, 15, 16 თებერვალი გამოაცხადა, 1919 წლის 10 იანვარს კი პარლამენტმა შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოსცა არჩევნების თარიღის შესახებ. 1919 წლის 2 იანვარს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მოითხოვა საუბნო და სამაზრო კომისიებისგან ამომრჩეველთა სიების დაზუსტება. კომისია გაზეთების საშუალებით მოსახლეობას მოუწოდებდა გადაემოწმებინათ საკუთარი თავი ამომრჩეველთა სიებში და აეღოთ პიროვნების დამადასტურებელი მოწმობები, რომლის გარეშეც არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. კომისია აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ ერობებთან და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. 1919 წლის 22-26 იანვარს კომისიამ განიხილა საკანდიდატო სიები და დაამტკიცა 15 საარჩევნო სუბიექტი. 1919 წლის 30 იანვარს კომისიამ მთავრობის ოფიციალურ ორგანოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“, შემდეგ ნომერში დასაბეჭდად გადაუგზავნა საკანდიდატო სიები. კომისიის გადაწყვეტილებით საარჩევნო ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, საარჩევნო უბნებზე განთავსდა არჩევნების წესები. 1919 წლის 9 მარტს კომისიამ გამოსცა შემაჯამებელი ოქმი, რომლის საფუძველზეც ძირითადი სამუშაოები დაასრულა, 1919 წლის აგვისტოში და 1920 წლის მარტში კომისიას დაევალა ჩაეტარებინა დამფუძვნელებთა კრების ორი დამატებითი არჩევნები, რასაც წარმატებით გაართვა თავი[22].

---

[21]**ი, ირემაძე, ს, ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ, 25.

[22]საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ. 122-123.

პირველი დამატებითი არჩევნები ჩატარდა თიანეთის მაზრის ნაწილში, ხევსურეთში, ფოცხოვის რაიონში, სვანეთში, ბორჩალოსა და ახალციხის მაზრებში[23]. მეორე დამატებითი არჩევნები კი გაიმართა 1920 წლის მაისში დარჩენილ უბნებზე: ქ. დუშეთში, თბილისის 50-ე უბანზე, გომბორში, ბოლნის-ხაჩინის და დაგეთ-ხაჩინის საარჩევნო უბნებზე, ასევე სოხუმის მთელ ოლქში. მეორე დამატებითი არჩევნები ფაქტიურად დარღვევების გარეშე ჩატარდა და მასში მონაწილეობა მიიღო 23 294-მა ამომრჩეველმა. ახალი შედეგების საფუძველზე, დამფუძნებელ კრებაში პარტიებს შორის გადანაწილებული მანდატების რაოდენობა კვლავ შეიცვალა. დამფუძნებელი კრების საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: სოციალ-დემოკრატიული პარტია - 102 მანდატი, მათ კვლავ დააკლდათ სამი ადგილი. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კვლავ მოახერხა მერვე მანდატის დაბრუნება და 8 მანდატი მიიკუთვნა. სოციალ-რევოლუციონერებს მიემატათ ერთი მანდატი და საერთო რაოდენობა მანდატებისა გახდა – 6. დაშნაკებს დარჩათ იგივე 3 მანდატი. სოციალ-ფედერალისტებს დარჩათ 9 მანდატი უცვლელად. ეროვნულმა პარტიამ კვლავ ერთი დეპუტატი გაიყვანა და გაუხდა 2. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეორე დამატებით არჩევნებში სამმა პარტიამ საარჩევნო ბლოკი შექმნა და ერთიანი სიით მიიღო მონაწილეობა, ეს ბლოკი არჩევნებში მე-16 ნომრად იყო წარმოდგენილი[24].

---

[23]**ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 53.

[24]**ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012. გვ, 55.

თავი მეორე

არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტები და მათი პროგრამები

§2.1. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საარჩევნო სია 130 კანდიდატისგან შედგებოდა. აქედან 124 კაცი და 6 ქალბატონი იყო, მათ შორის იყვნენ შემდეგი ქალები: სიის 36-ე ნომერი იყო ელეონორა ტერ-პარსეგოვა მახვილაძისა, 61-ე ნომერი იყო მინადორა ტოროშელიძე, სიის 72 ნომერი იყო ქრისტინე შარაშიძე, 79-ე ნომერი იყო ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, 110-ე ნომერი ანნა სოლოღაშილი და პარტიული სიის 126-ე ნომერი იყო მარიამ ბერიანიძე[25].

საქართველოს დროებით პარლამენტში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა და არც დამფუძვნებელ კრებაში აპირებდა პოზიციის დათმობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიას საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერა არ აკლდა, მაინც იყო საფრთხე ამ თანადგომის დაკარგვის, თუნდაც მისი არაქართული სახელწოდების გამო.

ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანების სათავეებთან იდგნენ: ეგნატე ნინოშვილი; სილიბისტრო ჯიბლაძე; ნოე ჟორდანია; ფილიპე მახარაძე; კარლო ჩხეიძე და სხვ. 1890-1892 წლებში სოციალ-დემოკრატიული მოძღვრებით დაინტერესებული ახალგაზრდობა ერთმანეთს ხვდება და იდეური გაერთიანებისკენ პირველი ნაბიჯებს დგამს. გაერთიანებაში დიდი როლი შეასრულა ვარშავის ქართველ სტუდენტთა წრემ და ზესტაფონის წრემ[26].

1892 წლის 25 დეკემბერს ზესტაფონში იოსებ კაკაბაძის სახლში შეიკრიბნენ ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, რაჟდენ კალაძე, არსენ წითლიძე. აღნიშნული შეკრება, რომელზეც დაარსდა „მესამე დასი“, სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიება „ყრილობის“, „კონფერენციის“ სახელით. იმ დროს კონფერენციის

[25] **ი, ირემაძე, ს, ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ, 30-31.

[26] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 28.

მონაწილეები მათ მიერ შექმნილ ორგანიზაციას „მესამე დასს“ არ უწოდებდნენ. გ. წერეთლის წერილის გამოქვეყნების შემდეგ ეს სახელწოდება მტკიცედ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში.

ზესტაფონის კონფერენცია მოუმზადებლად გაიმართა. წინასწარ არ შეუმუშავებიათ პროგრამის პროექტი, არ განუსაზღვრავთ მომავალი ორგანიზაციის იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა[27].

მესამე დასის ზესტაფონის კონფერენციაზე 1892 წლის დეკემბერში მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული გაერთიანება. იდეური უთანხმოების მიუხედავად პირველი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია შეიქმნა.

პროგრამულ საკითხებზე პრინციპული უთანხმოების პირობებში „მესამე დასი“ ვერ იარსებებდა. საჭირო იყო პროგრამის ახალი პროექტის შემუშავება. ინიციატივას ნოე ჟორდანია და სილიბისტრო ჯიბლაძე იჩენდნენ. მხარს უჭრდა ეგნატე ნინოშვილი. სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე ჟორდანია ზესტაფონის კონფერენციის შემდეგ ს. ჯიბლაძესთან გურიაში გაემგზავრნენ სადაც შეთანხმდნენ „მესამე დასის“ ახალ პროგრამაზე. პროგრამა 1893 წლის იანვრის დამდეგს მზად იყო[28].

1893 წლის თებერვლის ბოლოს და მარტის დამდეგს თბილისში ჯერ ისიდორე კვიცარიძის და შემდეგ ვლადიმერ დარჩიაშვილის ძმის ბინაზე გაიმართა „მესამე დასის“ მეორე კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ: ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, კარლო ჩხეიძე და სხვ. ჟორდანიამ კონფერენციას წარუდგინა მის მიერ დაწერილი პროგრამის პროექტი. პროექტი წარმოდგენილი იყო ვრცელი მოხსენების სახით „რა ვაკეთოთ“. 1894 წელს „რა ვაკეთოთ“ შეცვლილი სათაურით გამოქვეყნდა ჟურნალში „მოამბე“[29].

---

[27] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 28.

[28] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 31.

[29] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 31.

6. ჟორდანიამ ჩამოაყალიბა ქართული სოციალ-დემოკრატიის სამოქმედო პროგრამა: სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანია ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა;

ბურჟუაზიული წყობილების მიერ ფეოდალური წყობილების მოსპობა და ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წინააღმდეგობანი სხვადასხვა კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის;

სოციალ-დემოკრატიის მიზანია დაიცვას მშრომელი მასების ინტერესები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში;

ეროვნული თავისუფლება არის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის აუცილებელი პირობა;

ადამიანის უფლება პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური თავისუფლების აუცილებელი პირობაა;

„მესამე დასის“ პირველი საჯარო გამაოსვლა მოხდა 1894 წლის 8 მაისს, სოფელ ჩაჩნეთში ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე. ამის შემდეგ მესამე დასელები შეიკრიბნენ სოფელ ნიგოითში. ამ შეკრებაზე საუბარი იყო „საგეგმო-სამუშაო კითხვებზე“

ზესტაფონის და თბილისის კონფერენციებზე, ასევე ნიგოითის შეკრებაზე მოხდა ქართული სოციალ-დემოკრატიის იდეური და ორგანიზაციული გაერთიანება. შეიქმნა პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“, მიიღეს ორგანიზაციის პროგრამა, განისაზღვრა იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის ძირითადი მიმართულებები[30].

მიუხედა იმისა, რომ 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნებისთვის პარტია ძალიან კარგად ახდენს პოლიტიკურ ვითარებასთან ადაპტაციას და მრავალფეროვან ბუნებას ავლენს, მათი ლიდერებისთვის მესამე დასის პროგრამა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო.

ქართველ მენშევიკებს იდეური ერთობა აკავშირებდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ ეს ერთობა დაარღვია.

---

[30] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 34.

მაშინ როცა ქართველი მენშევიკები მთავრობის წამყვან ძალად გადაიქცნენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია კომუნისტურ დიქტატურასთან ბრძოლაში სულს ღაფავდა.

ქართველ მენშევიკებს იდეური ერთობა აკავშირებდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან, მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ ეს ერთობა დაარღვია. მაშინ როცა ქართველი მენშევიკები მთავრობის წამყვან ძალად გადაიქცნენ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია კომუნისტურ დიქტატურასთან ბრძოლაში სულს ღაფავდა.[31]

1918 წლის 19 ნოემბერს მერვე ყრილობა, აღმოჩნდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნბელი ყრილობა.

პარტიის დამფუძვნებელმა ყრილობამ, 75 დელეგატის თანდასწრებით, პარტიის სახელწოდების შეცვლის საკითხი განიხილა და შესაბამისი დადგენილება მიიღო. ,,დღეიდან ჩვენი პარტია იწოდება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიად".[32]

მერვე ყრილობაზე 1918 წლის 14-19 ნოემბერს 75 დელეგატიდან პარტიის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა 70-მა დელეგატმა. დელეგატებმა ბოლო სხდომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი და სხვები.[33]

საზოგადოებრივმა აზრმა დააჩქარა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გაფორმება.

საზოგადოების მხარდაჭერა განპირობებული იყო იმით, რომ სოციალ-დემოკრატები აქცენტს აკეთებდნენ მუშებისა და გლეხების უფლებებზე. მათი მოთხოვნა იყო: ფაბრიკები მუშებს, მიწები გლეხებს, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკი, უნდა დამყარებულიყო საყოველთაო თანასწორობა. სოციალ-დემოკრატები აქცენტს აკეთებდნენ სოციალურ საკითხზე, მაშინ როცა დანარჩენი პარტიები ეროვნულ საკითხს უტრიალებდნენ. მუშებს

---

[31] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 137.
[32] **შ. ვადაჭკორია.** ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 106.
[33] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 138.

პირდებოდნენ, რომ აღარავინ იქნებოდა მათი მჩაგვრელი. სოციალ-დემოკრატები მართლაც მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მათ და დადებითად აფასებდნენ პროლეტარიატის როლს ისტორიის მსვლელობაში.

პარტიისთვის მთავარი ეროვნულ საკითხში იყო თავისუფლების დროშა, რომელსაც პროლეტარიატი მაღლა დაიკავებდა. ,,მხოლოდ მათ ვერ მოერევა ვერავითარი რეპრესია, ვერც ჯარისკაცების ტყვიები. ვერც კაზაკების მათრახი, ვერც საშინელი გადასახლება, კატორღა და სახრჩობელა...".[34]

ნოე ჟორდანიამ კარლ კაუცკის ბოლო ნაშრომზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ,,ამჟამად სჭარბობს ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის ტენდენცია და ამდენად ერთიანი პროლეტარული ფრონტის ლოზუნგი უტოპიურია". მან განაცხადა, რომ პარტიას არ აშინებს მინიატურული ოპოზიციის მიერ წამოყენებული ბრალდებები. ის ამაყობდა, რომ რევოლუციის იდეებს სამოქალაქო ომის გარეშე ახორციელებდნენ.[35]

ესერები თვლიდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მეთაურები - ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე და სხვ. ხალხს არ უღალატებდნენ, დიდი რევოლუციის იდეებს საქართველოში მაინც განახორციელებენო.[36]

ნოე ჟორდანიას აზრით დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცენტრალური ხელისუფლება ძალაუფლების უმეტეს ნაწილს ხალხს უტოვებს. ,,ძალაუფლების ასეთი განაწილების დროს, ცენტრალურ მმართველობას არ აქვს საშუალება ცალკე ორგანიზაციულად დაირაზმოს და ის თანდათან უახლოვდება ხალხს და ის იქცევა სახალხო მთავრობად". მისივე აზრით, რადგანაც ძალაუფლების წარმომშობი წყარო ხალხია ,,თავის მოწოდებას ახორციელებს სამი გზით: კანონმდებლობით, ადმინისტრაციულით და სასამართლოთი".[37]

ეკონომიკურ რეფორმებშიც სოციალ-დემოკრატიის ლიდერებს გარკვეული პოზიცია ეჭირათ. 1920 წლის 13 ოქტომბერს ეკონომიკურ თათბირზე ნოე ჟორდანიამ გარკვევით განაცხადა, რომ ,,მძიმე ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის

---

[34] **ნ. სონღულაშვილი.** ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა (1900-1921). თბ, 2013. გვ, 133.
[35] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 138.
[36] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 139.
[37] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 140.

მოვლენა მარტო არ არის, მას ევროპული ხასიათი აქვს. ეს სახელწიფოები ცდილობენ თავი დააღწიონ ეკონომიკურ კრიზისს“.[38]

სახელმწიფოს ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად საფუძველს, აგრარული საკითხის მოწესრიგება წარმოადგენდა. სოციალ-დემოკრატები კარგად ათვიცნობიერებდნენ, რომ ამ საკითხში ყველაფრის ნულიდან დაწყება მოუწევდათ. მათი აგრარული რეფორმის ევოლუცია, ორ ძირითად საფეხურს მოიცავდა: 1) მუნიციპალიზაციას და 2) მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას. ისინი თვლიდნენ, რომ ,,გლეხი ბუნებით კონსერვატორია, სოციალ-დემოკრატიას და რევოლუციას იმდენად უჭერს მხარს, რამდენადაც მას ემსახურებიან, მიწას მოუპოვენებ. არსებითად გლეხში ზის კერძო მესაკუთრე, ის კერძოს საკუთრების და თავისი ნაჭერი მიწის მაღმერთებელია“.[39]

სოციალ-დემოკრატებს ეროვნული განვითარებისთვის, მნიშვნელოვნად მიაჩნდა სხვა და სხვა საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის საგანმანათლებლო და პოლიტიკური დონის ამაღლებას. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო შეექმნათ იმის პირობები, რომ ყველას შეძლებოდა მიეღო განათლება. ამისთვის საზოგადოებამ დაბეჭდოს წიგნები, ბროშურები, ჩაატაროს საგანმანათლებლო ლექციები, ლოტერატურული საღამოები და სხვა.[40]

სტივენ ჯონსი ნაშრომში ,,სოციალიზმი ქართულ ფერებში“ წერდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ეროვნულიც იყო და ინტერნაციონალურიც. მან ეროვნული და კულტურული საკითხების ირგვლივ გააერთიანა ქართველები და შეძლო ანტიცარისტული ფრონტის მობილიზება, რომელშიც სომეხი ვაჭრები, ქართველი გლეხები და რუსი მუშები შედიოდნენ.სოციალ-დემოკრატია ქართველებისთვის ეროვნული კულტურისთვის ბრძოლას ნიშნავდა, ინტელიგენციისთვის - დემოკრატიას, ხოლო მუშებისა და გლეხებისთვის - ეკონომიკისთვის ბრძოლას.[41]

მიუხედა იმისა, რომ 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნებისთვის პარტია ძალიან კარგად ახდენს პოლიტიკურ ვითარებასთან ადაპტაციას და მრავალფეროვან

---

[38] **შ. ვადაჭკორია.** ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 256.
[39] **შ. ვადაჭკორია.** ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 292. 301.
[40] **ნ. სონღულაშვილი.** ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა (1900-1921). თბ, 2013. გვ, 142.
[41] **ს. ჯონსი.** სოციალიზმი ქართულ ფერებში. თბ. 2007. გვ. 188

ბუნებას ავლენს, მათი ლიდერებისთვის მესამე დასის პროგრამა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო.

§2.2. საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტია

XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს პოლიტიკაში დიდი ადგილი უკავია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ეროვნულ-დემოკრატიზმი, როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი მიმართულება XX საუკუნის 60-იან წლებში აღმოცენდა. მისი თეორიული საფუძვლები ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მხატვრულ და პუბლიცისტურ ნააზრევში ჩამოყალიბდა. სამოციანელთა ძალისხმევით ეროვნულ-დემოკრატიზმი ქართველი ერისთვის განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიად იქცა.

ქართველი ეროვნულ-დემოკრატიული მსოფმხედველობის ფუძემდებლებს პოლიტიკური ორგანიზაცია არ შეუქმნიათ. 1905-1906 წლებში იყო პარტიის დაარსების ცდა. ილია ჭავჭავაძის აქტიური მონაწილეობით შემუშვდა მომავალი პარტიის პროგრამა, მაგრამ აღნიშნული საქმე წარმატებით ვერ დასრულდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ დაფუძვნებულა, ეს პროცესი ილიას მკვლელობამ კიდევ უფრო გააჭინაურა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პარტია ორგანიზაციულად არ ჩამოუყალიბებიათ ეროვნულ-დემოკრატებმა ფართო მუშაობა დაიწყეს ქართველი ერის ისტორიული, პოლიტიკური და იურიდიული უფლებების დასაცავად.[42]

ეროვნულ დემოკრატთა ჟურნალ-გაზეთებმა „ერი“, „კლდე“, „იმერეთი“, „სამშობლო“ და სხვ. ხელი შეუწყეს ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, განამტკიცეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის იდეა. პერიოდულმა გამოცემებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ფორმირებაში. ქუთაისურ „სამშობლოსა“ და თბილისში გამოცემულ

[42] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 5-6.

„საქართველოს“ ირგვლივ შეკრებილი ჯგუფების გაერთიანება პოლიტიკური პარტიის შექმნის საფუძვლად იქცა.[43]

1917 წლის 4-10 ივნისს თბილისში ეროვნულ-დემოკრატთა პირველი ყრილობა გაიმართა. ყრილობის მთავარი შედეგი საქართველოს ეროვნულ-დეოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება და მისი პროგრამისა და წესდების მიღება იყო. პარტია არ გამოხატავდა რომელიმე სოციალური კლასის ან საზოგადოებრივი ფენის ინტერესებს, არამედ მთელი ერის. ეროვნულ-დემოკრატები თავს ზეკლასობრივ პარტიად მიიჩნევდნენ. მათ სწამდათ, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება ერთსა და იმავე დროს ბრძოლაც არის და ერთობაც“.[44]

ეროვნულ-დემოკრატთა უმთავრესი პოლიტიკური მოთხოვნა საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა იყო. მიზნის მიღწევას ისინი მშვიდობიანი გზით ცდილობდნენ. პარტიას პიროვნების თავისუფლების საკითხი უდიდეს მორალურ ღირებულებად მიაჩნდა. კერძო საკუთრების ხელშეუხებლობასთან ერთად აღნიშნული საკითხი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის ერთ-ერთი უცვლელი ნაწილი იყო.

ეროვნულ-დემოკრატების პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნული ვაჭრობისა და მეწარმეობის განვითარებას. გათვალისწინებული იყო, როგორც მიწის მუშათა ისე მიწის მფლობელთა ინტერესები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია არ გამხდარა მმართველი ძალა, მათი არაერთი საპროგრამო დებულება მაინც გატარდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.[45]

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანება საქართველოს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს შეეძლო. პარტიაში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენლობამ მოიყარა თავი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელიც 1914 წელს ევროპაში შეიქმნა.

---

[43] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 6.
[44] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 6.
[45]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 7.

კომიტეტს სათავეში ეროვნულ-დემოკრატი პეტრე სურგულაძე ედგა. საქართველოს ეროვნული თავისუფლების აღდგენის პირველ საფეხურად ეროვნულ-დემოკრატებს პოლიტიკური ავტონომია მიაჩნდათ. რუსეთის ქვეშ მყოფი საქართველოს ავტონომიურ ერთეულად მოწყობის იდეა ჯერ კიდევ 1881 წელს ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა. პარტია ილიას გზას მიყვებოდა. მათთვის ილიასეული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“ სამშობლოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის მთავარი ორიენტირი იყო.[46]

პირველი მსოფილო ომის დაწყებისთანავე ეროვნულ-დემოკრატებმა თავიანთი ტაქტიკა რამდენჯერმე გადასინჯეს. შემუშავდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ორი მიმართულება. პირველი - იმ შემთხვევაში თუ გერმაინია და ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკი გაიმარჯვებდა, ეს გზა იყო დაუფარავი, რომლითაც საზღვარგარეთ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი მოღვაწეობდა. მეორე - თუ წარმატებას რუსეთი და ანტანტის ქვეყნები მიაღწევდნენ. მას ქვეყნის შიგნით „კლდისა“ და „საქართველოს“ ირგვლივ შეკრებილი ჯგუფები, მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ატარებდა.[47]

ცარიზმის დამხობამ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა რეალურ ამოცანად აქცია. საჭირო იყო საქართველოში მოქმედი ყველა გავლენიანი პოლიტიკური ძალის შეთანხმებული და ერთიანი გეგმით მოქმედება. 1917 წლის მარტში ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები და ესერები „ეროვნულ კომიტეტში“ გაერთიანდნენ. ქართული პოლიტიკური ორგანიზაცების გამაერთიანებელი ორგანო 1917 წლის აპრილიდან ინტერპარტიულ კრებად, შემდეგ ქართველი ერის ინტერპარტიულ საინფორმაციო ბიუროდ და საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოდ იწოდებოდა.[48]

ეროვნულ-დემოკრატთა ინიციატივით და ინტერპარტიული საბჭოს საერთო ძალისხმევით 1917 წლის 19-22 ნოემბერს მოიწვიეს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, როელმაც აირჩია ეროვნული საბჭო. საქართველოს ეროვნული საბჭოს

[46]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 8.
[47]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 9.
[48]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 9.

შექმნით დასრულდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ცალკე ჯგუფების და პარტიების ბრძოლა, დაიწყო უფრო მაღალი ეტაპი, როცა ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ეროვნული შტაბი - ფაქტოვრივად ქართული ხელისუფლება.[49]

ვიდრე, საქართველო სახელმწიფოებრიობას აღიდგენდა ეროვნულ საბჭოში გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქცია უფრთხილდებოდა პოლიტიკურ ძალათა ერთიანობის იდეას. ერიდებოდა პრობლემების მეტისმეტ გამწვავებას, რის გამოც ზოგჯერ იძულებული ხდებოდა მხარი მისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებისთვის დაეჭირა. 1918 წლის 26 მაისის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობამ მკვეთრად გამოხატული ოპოზიციური ხასიათი მიიღო.[50]

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლობა არ ყოფილა მრავალრიცხოვანი. მხოლოდ 8 დეპუტატს აერთიანებდა.

დამფუძნებელ კრებაში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია მმართველი უმრავლესობის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ოპოზიციად ჩამოყალიბდა. იგი ამხელდა აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის მანკიერებებს აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატთა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსს, მიუთითებდა შეცდომებზე ქვეყნის თავდაცვის თუ საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მოუწოდებდა მთავრობას მუდმივი მერყეობის ნაცვლად დადგომოდა დასავლურ - საღი ევოლუციური დემოკრატიის და ზომიერი ეკონომიკური რეფორმების გზას.[51]

ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის წევრები აქტიურად მუშაობდნენ დამფუძნებელი კრების მუდმივმოქმედ კომისიებში, მონაწილეობდნენ კანონპროექტების მომზადებასა და განხილვაში.

1917 წლის ოქტომბერში ეროვნულ-დემოკრატებს მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩამოშორდა, რომელმაც თავი საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიად გამოაცხადა. 1918 წლის სექტემბერში ცალკე გამოიყო დემოუკიდებელი

---

[49]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 10.
[50]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 11.
[51]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 10-11.

ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, რომელიც შემდეგ ეროვნულ, ხოლო ბოლოს მიწის მესაკუთრეთა ეროვნულ პარტიად იწოდებოდა.

ასე იწყება 1906 წლის პროგრამის შესავალი ნაწილი:

17 ოქტომბრის მანიფესტს საფუძვლად უდევს სიტყვის, ბეჭდური მწერლობის, შეკრებისა და გაფიცვის თავისუფლება, ასევე კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მაგრამ აღნიშნული არ აკმაყოფილებს ქართველი ერის მოთხოვნებს. არ არის აღნიშნული გარანტია იმისა, რომ აღნიშნული უფლებები იქნება დაცული. მანიფესტი მხოლოდ დაპირებაა, რადგან არ იხსენიება ის ზომები რომლითაც უნდა განხორციელდეს ის. მთავრობას არ შეუძლია გაწვდეს დღევანდელ რთულ ვითარებას. ყოველ ღონეს ხმარობს, რომ როგორმე თავიდან აირიდოს თავისი მოვალეობა. ამიტომ უნდა აღინიშნოს ის ზომები და გზები, რომელსაც შეუძლია ქვეყანაში წესრიგის და მშვიდობის მოტანა, ამისთვის საჭიროა, რომ:

- დაარსდეს საზოგადოება რომელსაც ერქმევა „საქართველოს დემოკრატია“
- მივიღოთ „საქართველოს დემოკრატიის“ პროგრამა.
- დაიბეჭდოს აღნიშნული პროგრამა როგორც გაზეთებში, ისე ცალკე ბროშურებად და ამ სახით გამოცხადებულ იქნას საყოველთაოდ.
- როცა წევრთა რიცხვი ავა 100 კაცამდე, მაშინ მოხდება წევრთა შეკრება ბიუროს ამოსარჩევად, მოქმედების წეს-რიგის დასადგენად და თვით პროგრამის შესასწორებლად. [52]

პროგრამა

სრული პოლიტიკური ამნისტია; გაუქმება იმ კანონების, ბრძანებების და განკარგულებების, რომელიც შეეხება საქართველოს მართვა გამგეობას და რომელიც მიმართული იქნება მოქალაქეთა უფლებების შესაზღუდად; გაუქმება საპოლიციო სამსახურის რომელიც გოლიცინის დროს შემოიღეს; ქართული ენის ცოდნა სავალდებულოდ იქნას დაწესებული; ხელშეუხებლობა ადამიანის და კერძო საკუთრების; ქონებრივი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორობა ქალის და მამაკაცის;

[52]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 14-16.

პასუხისგება თანამდებობის პირთა, რა დაწესებულებაშიც არ უნდა მსახურობდნენ საზოგადო გასამართლების წესით; სასამართლოს დამოუკიდებლობა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დაწესება; საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება უფასოდ; დაფუძნება უმაღლესი სასწავლებლის; გაუქმება წოდებრიობის, უპირატესის, ბატონყმობის აღმოფხვრა; დაერთოს გლეხს ნება და დაემტკიცოთ უფლება გამოიყენონ სახაზინო ტყეები და საძოვრები; შეერთება თბილისის და ქუთაისის გუბერნიების, ბათუმის მხარის სოხუმის და ზაქათალას ოლქების. [53]

პირველი ნახევარი ერთგვარი პრეამბულაა, რომელშიც კრიტიკულადაა შეფასებული 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტი დოკუმენტის მეორე ნახევარი დაყოფილია 30 მუხლად, 1906 წლის პროგრამას ფაქტიურად არ უმუშავია ვინაიდან ვერ მოხერხდა პოლიტიკური პარტიად ჩამოყალიბება[54], ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია 1917 წლის მეორე პროგრამა. სადაც წერია, რომ ეროვნება- უმაღლესი საზოგადოებრივი არსია, საერთო უფლებრივი ურთიერთობით, ენით, ზნე-ჩვეულებებით, აწმყო და წარსული ცხოვრებით. ერს თავისი საჭიროებები და მოთხოვნილებანი აქვს. საჭიროა გარეშე მტრისგან დაცვა, წესრიგი, რათა არ გამეფდეს ძალმომრეობა და ერთმანეთის ჩაგვრა. საჭიროა სწავლა-განათლება, სამართლიანობა, მიწათმოქმედების განვითარება. ყველა ერი უნდა ცდილობდეს, რომ საკუთარი მართვა ქონდეს, კანონმდებლობა, მთავრობა, ხაზინა, სკოლა, სამართალი ერის ხელში უნდა იყოს, რომ ერის საჭიროებებს ემსახუროს. პოლიტიკური წყობა - წოდებრიობის მოსპობის შემდეგ ყველა თანასწორია, უფლება აქვს ჩაერიოს და მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მართვა გამგეობაში. მთელმა ერმა უნდა ამოირჩიოს წარმომადგენლები და მათ უნდა აწარმოონ სახელმწიფოს კანონები. თანასწორობა და თავისუფლება - სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღების საშუალება ყველას უნდა ქონდეს. ყველა თანასწორი უნდა იყოს მთავრობის, სამართლის და კანონის წინაშე. ყველას მინიჭებული უნდა ქონდეს პირადი თავისუფლება. ქონებრივი კეთილდღეობა-ეროვნული

[53]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 17-20.

[54] **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002. გვ. 171.

კეთილდღეობა მხოლოდ ეროვნულ სიმდიდრეს და ქონებრივ კეთილდღეობაზე შენდება. ერის ქონებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად მთავრობამ უნდა განახორციელოს ყველა ის ეკონომიკური ღონისძიება, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაშია. მიწათმოქმედების და მრეწველობის ასაყვავებლად საჭიროა, რომ სახელმწიფო დაეხმაროს მოსახლეობას სამეურნეო და სატექნიკო სწავლა განათლების მიცემით, იაფი სესხის მიწოდებით და სხვ. უმამულო და მცირე მამულიან მეურნეებს სახელმწიფომ უნდა გამოუყოს საკმარისი მიწა, ტყე და საძოვარი. სოციალისტები მოითხოვენ, რომ კერძო საკუთრება გაუქმდეს და ყველაფერი საზოგადო საკუთრებად გადაიქცეს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამის წინააღმდეგია. ადამიანი მხოლოდ მაშინ იშრომებს თავდაუზოგავად, როდესაც დარწმუნებული იქნება, რომ მიღებული შედეგი მის საკუთრებად დარჩება და მემკვიდრეობით გადასცემს მომავალ თაობას. კერძო საკუთრების მოსპობა და ქონების გასაზოგადოება შეასუსტებს პიროვნების შრომას. ერი ვეღარ წარმოშობს იმდენ ღირებულებას და სიმდიდრეს რამდენის წარმოშობაც შეუძლია თუ პიროვნებას არექნება საკუთრების უფლება. ეროვნული და არა კლასური პარტია - ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ეროვნული პარტიაა და არა კლასური. ის არ მოითხოვს რომელიმე კლასისთვის სასარგებლო საკითხს. მიზნად ისახავს ეროვნული ცხოვრების განვითარებას, მოითხოვს მოქალაქეობრივ თავისუფლებას, რადგან აუცილებელი პირობაა ერის პოლიტიკურ და ეკონომიკური განვითარებისთვის. პარტია მოითხოვს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას , მათ უფლებათა კანონით დაცვას, სოფლის მიწის მუშისთვის საკმაო მიწის მიცემას. ეროვნულ-დემოკრატები მოთხოვენ საყოველთაო სწავლა-განათლებას და სამართლის და წესრიგის დამყარებას. 1917 წლის პროგრამა განიხილა და უმნიშვნელო შესწორებით დაამტკიცა პარტიის დამფუძნებელთა კრებამ, პროგრამა სამჯერ გამოიცა თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში და თბილისში, პროგრამაში ხაზი აქვს გასმული რესპუბლიკის მნიშვნელობის საკითხს, ახსნილი მოქალაქეობრივი თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საკითხსი და მისი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივი

ცხოვრებისთვის, ასევე პროგრამის მიხედვით კერძო საკუთრება წარმოჩენილია როგორც ქონებრივი კეთილდღეობის საფუძველი[55].

ერის ქონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძლიერების შესაქმნელად აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება. ქართველი ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში თავისუფლად ცხოვრობდა. 1783 წლის ხელშეკრულებით საქართველომ მიიღო რუსეთის მფარველობა. ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთრი კანონმდებლობა და მთავრობა, ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია. 1801 წლის მანიფესტით რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და სრულიად გააუქმა ქართველი ერის სახელმწიფოებრივი უფლებები.

- სახელმწიფოებრივი მართვის წესი და მოქალაქეთა უფლებები უნდა შეესაბამებოდეს ერის ეკონომიკურს და კულტურულ მდგომარეობას.
- საქართველოს პოლიტიკური ავტონომია.
- ქვეყანაში უნდა დამყარდეს საქართველოს პოლიტიკური ავტონომია, დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე.
- ავტონომიის კონსტიტუციას შეადგნს თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.
- საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა სრულწლოვანი მოქალაქე, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული პროპორციული ხმით.
- საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ექვემდებარება ყველა საგანი გარდა: 1)ომის და ზავის საკითხი 2)საგარეო პოლიტიკა. 3)რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტი, რაც რუსეთის კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის.
- ავტონომიური მართვა - გამგეობა ვრცელდება სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე.

---

[55] **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002. გვ. 171-172.

- საქართველოს ტერიტორიას შეადგენს პროვინციები: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი.
- აჭარას და სხვა სამაჰმადიანოს, ისე როგორც აფხაზეთსა და საზოგადოდ საქართველოს ყოველ პროვინციას მიეცემა ვრცელი თვითმმართველობა. სამაჰმადიანოს ყოველი ზნე-ჩვეულება და ადათი ისე როგორც სარწმუნოებრიობა მტკიცედ იქნება დაცული და ხელუხლებელი საქართველოს ავტონომიის კონსტიტუციით.[56]

<u>მოქალაქეობრივი უფლებები:</u>

- საქართველოს ყველა მოქალაქე, განურჩევლად სქესისა, ეროვნების, სარწმუნოების, ქონებრივი მდგომარეობის, უფლებრივად თანასწორია.
- ავტონომიური კონსტიტუცია ყველა მოქალაქეს ანიჭებს პიროვნულ თავისუფლებას, სიტყვის, წერის და შეკრების.
- ყველა აღნიშნული შეტანილ უნდა იქნას ავტონომიის კონსტიტუციაში და დაცული სისხლის სამართლის წესით.[57]

<u>სამართალი:</u>

- სასამართლოს განაჩენის გარეშე არავინ დაისჯება.
- მსაჯულს ირჩევს ხალხი.
- სასამართლო და კანონი ყველასთვის საერთოა.
- სისხლის სამართლის საკითხებს განიხილავს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო.
- ყოველი მოქალაქეს ნება აქვს პასუხისგებაში მისცეს კანონის დამრღვევი.
- მოსამართლეთა გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.
- აჭარაში და სხვა სამაჰმადიანოებში ადგილობრივი სამართალი უნდა მოეწყოს შარიათის წესის თანახმად.

<u>სწავლა განათლება:</u>

- დაწყებითი სწავლა-განათლება უფასო და სავალდებულო.

---

[56] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 25-26

[57] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 26.

- ავტონომიის ხაზინის ხარჯზე საზოგადო სანტექნიკო, სამეურნეო და საკომერციო სწავლა-განათლების გავრცელება.
- უნივერსიტეტის და უმაღლეს სასწავლებელთა ავტონომიური მართვა-გამგეობა.[58]

ეკლესია:

- საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია.
- ეკლესია სახელმწიფოსგან განცალკევებულია.
- სარწმუნოებრივი მმართველობა მაჰმადიანთა, კათოლიკეთა, გრიგორიანთა დამოუკიდებელი და ავტონომიურია.

ფინანსები:

- შემოღება პროგრესიული გადასახადის ყოველგვარ შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.
- არაპირდაპირი გადასახადი პირველსაჭიროების საქონელზე უნდა გაუქმდეს.[59]

ეკონომიკური საკითეხები:

- კერძო საკუთრება ღერძია ხალხის ეკონომიკური და კულტურული განვითარების.
- კერძო საკუთრების უფლება საფუძველია საზოგადოებრივი წყობის და პიროვნების თავისუფლების.
- კერძო საკუთრება ხელუხლებელია.

მიწა და მეურნეობა:

- საქართველოს ავტონომიურმა მმართველობამ უმამულო და მცირე მამულიან გლეხს უნდა აღმოუჩნიოს საკმარისი მიწა. ამისთვის სახაზონო გლეხების ყველა ის მიწა, რომელიც არის საკომლო, საზიარო-სათემო და რომელიც მათ მფლობელობაში იყო, აღიარებულ იქნას მათ საკუთრებად და მოისპოს ყველანაირი გადასახადი მიწაზე.

[58] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 27.
[59] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 27.

- ყოფილ დროებით ვალდებულ გლეხთა ყველა ის მიწა რომელიც მათი საკუთრებაა აღიარებულ იქნას მათ საკუთრებად და მოისპოს ამ მიწებზე გამოსასყიდი და გადასახადი.
- ხიზნებს, მოიჯარადრეებს და მცირე მამულიანი მიწის-მუშებს ავტონომიის ფონდიდან დაუმტკიცდებათ სრულ საკუთრებად, იმ ნორმით, რომელსაც საქართველოს ეროვნული კრება შეიმუშავებს.
- სახაზინო და საუფლისწულო მამულები გადაეცემა საქართველოს ავტონომიას.
- საქართველოს ავტონომიასვე უნდა გადაეცეს ყოველი სამთამადნო სიმდიდრეები და სამკურნალო წყლები.
- საქართველოს მთავრობამ იძულებით უნდა გამოისყიდოს საჭიროებისამებრ ხაზინის ხარჯით მემამულეთგან ნორმაზე მეტი მამულები, ხოლო ამ მამულების გამოსყიდვის და მკვიდრ მიწის მუშის ხელში კერძო საკუთრებად გადაცემის წესი და ფასი უნდა შეიმუშაონ ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეულმა პირებმა, რომელთა დადგენილებას საბოლოოდ დაამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
- მიწის მუშებს ავტონომიურმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ქონებრივი და ტექნიკური დახმარება დასახლების და მეურნეობის მოწყობის მხრივ.
- სახელმწიფოს ხარჯით მიწების მოსარწყავად არხების გაყვანა და ჭაობების დაშრობა, ასევე სხვა ღონისძიებები მიწის განაყოფიერებისთვის.
- ფართო და იაფი სამეურნეო სესხი და აგრეთვე მეურნეთა დახმარება აგრონომიულ სწავლა-განათლების გავრცელებით. სახაზინო ინსტრუქტორების და აგრონომების დანიშვნით.
- მამულების საყოველთაო გამიჯვნა ავტონომიური საქართველოს ხაზინის ხარჯით.
- სახელმწიფოს საშუალებით სოფლად სხვადასხვა დარგის შინა მრეწველობის შექმნა.

<u>ვაჭრობა და მრეწველობა:</u>

- ავტონომიური მთავრობა უნდა ზრუნდავდეს, რომ ხალხისთვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივად მზადდებოდეს.

- საქართველოს მთავრობა და კანონმდებლობა ხელს უნდა უწყბდეს ეროვნულ მეურნეობას, მრეწველობას, აღებ-მიმცემობის ზრდა განვითარებას.
- უნდა ცდილობდეს მიმოსვლის გაადვილებას და გაიაფებას, რკინიგზების და შარა-გზების გაყვანით, მდინარეების გაწმენდით, ნაოსნობის განვითარებით.
- უნდა ეხმარებოდეს ეროვნულ მეურნეობას სავაჭრო და სამრეწველო სესხით, საწყობებისა და ელევატორების მოწყობით.

<u>**შრომის უფლებები:**</u>

- ავტონომიური კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს მშრომელთა სამართლიან უფლებებს.
- მწარმოებლის და ქალაქის თუ სოფლის მუშის ეკონომიკურ ნიადაგზე მომხდარ უთანხმოების მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად უნდა დაარსდეს მწარმოებელთა და მუშათა მიერ არჩეული სამედიატორო სასამართლოები. რომლებიც დაექვემდებარებიან შრომის სამინისტროს.
- თავისუფლება გაფიცვის და კავშირების.
- მუშათა სავალდებულო დაზღვევა უბედური შემთხვევის და შრომის უნარის დაკარგვისგან.
- საქარხნო-სამრეწველო წარმოებაში სამუშაო დღის შემცირება, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება.
- აკრძალვა ბავშვების მუშაობის ქარხნებში 16 წლამდე და საზოგადოდ მცირეწლოვანთათვის მუშაობის შემცირება.
- ქალთა და მცირეწლოვანთა მუშაობის აკრძალვა, რაც მათ ჯანმრთელობისთვის მავნებელია.
- სახელმწიფო ვალდებულია ყოველ მოქალაქეს სამუშაო მოუძებნოს.
- შრომის დაცვის კანონების დარღვევა სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს. [60]

[60] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 27-31.

პროგრამიდან და შემდეგი მოღვაწეობიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განსხვავდებოდა თავისი შეხედულებებით ყველა სხვა მძლავრი პარტიისგან, მათ არ აირჩიეს სოციალური გზა და პირველ მიზნად დაისახეს ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი,ყურადღება გაამახვილეს კერძო საკუთრების მნიშვნელობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდნენ სოციალ-დემოკრატებს, ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის წინ აყენებდნენ და მათთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. ეს ეროვნულ საბჭოში გამოიხატებოდა ყველაზე კარგად. ოთარ ჯანელიძე წერს: „ ეროვნულ დემოკრატებს ჭეშმარიტი პარტია ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის წანამძღოლად, მის მედროშედ წარმოედგინათ, რომელსაც გარკვეულ წილად სახელმწიფოს როლი უნდა ეკისრა.[61]

„იქ სადაც ეროვნული სახელმწიფოებრიობა არ არის, მის მაგიერობას ეროვნული და დემოკრატიული თვალსაზრისით აღჭურვილი პარტია ეწევა“.[62] ამ პარტიას ქონდა ყველაზე რთული დავალება ყოფილიყო წარმომადგენელი ყველა კლასის, წოდების და ფენის, რაც თავისთავად მძიმე ტვირთი იყო.

დამფუძნებელთა კრების არჩევნების წინ პარტია აქტიურ აგიტაციას ეწეოდა მისი საგაზეთო ორგანოს „საქართველოს“ მეშვეობით, რასაც დეტალურად შემდეგ თავშიც განვიხილავთ.

§2.3. საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.

1901-1902 წლების მიჯნაზე რუსეთში შეიქმნა ყველაზე მრავალრიცხოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია - სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია. იგი ჩამოყალიბდა ყოფილი ნეოხალხოსნური წრეების და ორგანიზაციების გაერთიანების შედეგად. რუს ესერებს მთავარ სოციალურ დასაყრდენად გლეხობა მიაჩნდათ. აგრარულ სფეროში მოითხოვდნენ მიწების სოციალიზაციას, მათ გადაცემას გლეხთა თემების

[61] **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002. გვ. 168.

[62] **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002. გვ. 168.

ხელში. სოციალისტ-რევოლუციონერთა ლიდერები რუსეთში იყვნენ ვ.ჩერნოვი, დ.დონსკოი, ა. გოცი და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში და ამიერკავკასიაში წარმოქმნილ ესერთა ორგანიზაციები რუსეთის ესერთა პარტიაში შედიოდნენ. მასში გაერთიანებული იყვნენ ესერულად განწყობილი ქართველი რევოლუციონერების გარკვეული ნაწილი, ძირითადად არაქართველი მოსახლეობის წარმომადგენლები. საქართველოში მოქმედი ესერების წარმომადგენლები იყვნენ: კ. მესხი; ი. ჯაბადარი; ვ.მაიკოვი და სხვ.[63]

ქართველი ნეოხალხოსნების და ესერების პარტიოტულად განწყობილი ნაწილი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიაში შევიდა და მასში ასიმილირდა. ქართველ ფედერალისტთა პარტია ესერული მიმართულების ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია იყო.

რუსეთის სოციალისტურ-რევოლუციონერთა ადგილობრივი ორგანიზაციები სუსტად ფუნქციონირებდნენ საქართველოში.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქართველი ესერები რუსული პარტიისგან გამოყოფის საჭიროების წინაშე იდგნენ. 1918 წლის მაისში ესერთა პარტიის მეშვიდე კონფერენციაზე მოხდა განხეთქილება ცენტრალისტებსა და სეპარატისტულად განწყობილ ესერებს შორის. სეპარატისტულად განწყობილები რუსეთის პარტიიდან გამოვიდნენ. 1918 წლის მაისში შედგა დამფუძნებელი ყრილობა და შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტია. ლიდერები: გ. ნათაძე; ი. ნუცუბიძე; ლ. შენგელაია და სხვ. პარტია გამოსცემდა გაზეთ „შრომას“.[64]

---

[63] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ,15.

[64] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ,16.

1918 წლის 10-15 დეკემბერს ჩატარდა ესერთა პარტიის მეორე ყრილობა, რომელმაც ცენტრალური კომიტეტის თავჯდომარედ „შრომის“ რედაქტორი ლეო შენგელაია აირჩია. ესერთა ფრაქციას პარლამენტში თავჯდომარეობდა ივანე გობეჩია.[65]

სოციალისტ-რეოლუციონერთა მეორე ყრილობაზე ლ. შენგელია ამბობდა: ,,ჩვენ მოვწყდით რუსეთს და ამით მოვწყდით ჩვენს დიდ პარტიას რუსეთში. ამას არ მოითხოვდა ჩვენი ვიწრო პარტიული ინტერესები, მაგრამ მოითხოვდა ჩვენი ერთის მდგომარეობა და მშრომელი ხალხის ინტერესები. დამოუკიდებელი პარტიული არსებობა აორკეცებს ჩვენს პასუხისმგებლობას. ჩვენ მოვწყდით დედაპარტიას, მაგრამ თუ ინტერნაციონალიზმი არის იდეური ერთობა და არა მექანიკური კავშირი, ჩვენ მათთან ვიქნებით მუდამ“. ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ივენა გობეჩიამ აღნიშნა: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩვენი ერი გადარჩენილიყო ფიზიკურ განადგურებას. ობიექტური პირობები ამას გვიკარნახებდა და ჩვენც არ შეგვეძლო მისთვის არ დაგვეჭირა მხარი. საქართველოს დამოუკიდებლობა იყო მიზეზი ჩვენი ორგანიზაციების რუსეთის ცენტრალური კომიტეტისგან გამოყოფისა დადამოუკიდებელი პარტიის შექმნისა თავის ცენტრალური კომიტეტით. საქმე იმაში გახლავთ, რომ უხერხულია და შეუძლებელიც საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოქმედი ჩვენი პარტიის ორგანიციები დაქვემდებარებოდა რუსეთის ცეკას“.[66]

რაც შეეხება პარტიის პროგრამას, რუსეთის სოცილისტ-რევოლუციონერთა პარტიის პროგრამა და წესდება პირველ დამფუძნებელ კრებაზე დამტკიცდა 1906 წლის იანვარში მას შემდეგ, რაც საქართველოში დამოუკიდებელი ორგანიზაცია შეიქმნა. მათ გარკვეული ცვლილებები შეიტანეს პროგრამაში, მაგრამ ამ პროგრამის ძირითადი ნაწილი შენარჩუნდა.

<u>**პროგრამა:**</u>

1905-1906 წლების დეკემბერ-იანვარში პარტიის პირველ დამფუძნებელ ყრილობაზე დამტკიცდა პარტიის პროგრამა და წესდება. პროგრამის ბირთვი იყო მიწების

---

[65] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 16.

[66] **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 139.

სოციალიზაციის მოთხოვნა. ეროვნულ საკითხში ესერები ავტონომიის ფორმით სახელმწიფოს აღდგენის უფლებას ცნობდნენ იმ ხალხებისთვის რომლებსაც ისტორიულად მეტ-ნაკლებად განსაზღვრული ტერიტორია გააჩნდათ.

ესერთა მეორე ყრილობაზე პროგრამა გადაისინჯა და საქართველოს პირობებთან შეჯერდა. მთავარ აგრარულ პროექტად რჩებოდა მიწების სოციალიზაცია, მაგრამ გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ქართველი გლეხობის ნება-სურვილი, რომელთათვისაც სოციალიზაცია საკმარისი არ იყო.[67]

<u>**პოლიტიკური და უფლებრივი სფერო:**</u>

- დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესება ოლქის ფართო ავტონომიით, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში.
- პირდაპირი, დაფარული, თანასწორი, საყოველთაო არჩევნების უფლება ყველა მოქალაქისთვის, 20 წლის ზემოთ.
- სრული თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის და შეკრების, მუშათა გაფიცვების და კავშირის.
- სრული განცალკევება ეკლესიის სახელმწიფოსგან და სარწმუნოების კერძო საქმედ აღიარება ყოველი მოქალაქისთვის.
- საყოველთაო სავალდებულო განათლების შემოღება სახელმწიფოს ხარჯზე.
- მუდმივი ჯარის გაუქმება.[68]

<u>**სამეურნეო სფერო:**</u>

- სამეურნეო სფეროში სოციალ-რევოლუციონერთა პარტია მიზნად ისახავს: დაიცვას მუშათა კლასის სულიერი და ფიზიკური ძალები. პარტია ეცდება მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი შემცირება სამუშაო დროის, დაადგინოს სამუშაო დრო კანონმდებლობით მაქსიმუმი ნორმების მიხედვით.
- მინიმალური სამუშაო ქირის დადგენა თვითმმართველობის ორგანოთა და მუშათა პროფესიონალურ კავშირებთან შეთანხმებით.

---

[67] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 16.

[68] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 23.

- სახელმწიფო დაზღვევა უბედური შემთხვევის ან ავადმყოფობის შემთხვევაში.
- 16 წლამდე არასრულწლოვანთა მუშაობის განსაზღვრა, ბავშვების შრომის აკრძალვა.
- აგრარული პოლიტიკა: სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია მოითხოვს ყველა კერძო მფლობელთა საკუთრების სოციალიზაციას, კერძო პირების საკუთრების სფეროდან ამოღებას და გადასვლას საზოგადო მფლობელობაში.[69]

ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში პარტია ეცდება პროგრესიული გადასახადების შემოღებას შემოსავალზე და მემკვიდრეობაზე. წვრილი შემოსავალი გათავისუფლებულია გადასახადისგან.

მუნიციპალური კუთხით პარტია ეცდება საზოგადოებისთვის საჭირო საკითხების განვითარებას: ექიმის უფასო მომსახურება; გზების, განათების მოწესრიგება.

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია იწყებს დამოუკიდებელ რევოლუციონურ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან, იწყებს აგიტაციას დამფუძნებელი კრების მოსაწვევად, რომელიც იქნება თავისუფლად არჩეული ხალხის მიერ, განურჩევლად სქესისა, წოდებისა, ეროვნების და სარწმუნოების.[70]

როგორც ვხედავთ პროგრამის მთავარ მიზანს წამოადგენს მიწების სოციალიზაცია, ასევე თანხმობას გამოთქვამენ ავტონომიის ფორმით სახელმწიფოს აღდგენის უფლებაზე იმნხალხებისთვის, რომლებსაც ისტორიულად განსაზღვრული ტერიტორია გააჩნდათ. ესერების მეორე ყრილობამ მოახდინა პროგრამის გადასინჯვა და მისი შეჯერება საქართველოს პირობებთან, გათვალისიწნებული უნდა ყოფილიყო ქართველი გლეხების ნება-სურვილი, მათ სურდათ სოციალიზმის დაუყონებლივ მშენებლობა.

---

[69] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 24.

[70] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 26.

§2.4 . სომეხთა რევოლუციონური პარტია „დაშნაკციუთუნი“.

აღნიშნული პარტია წარმოადგენდა ამიერკავკასიის ერთ-ერთ ყველაზე ძველ პოლიტიკურ გაერთიანებას, რომელიც 1890 წელს თბილისში შეიქმნა, მართალია 1918 წლის ბოლოს მომხდარი სომეხ-ქართველთა ომის გამო მოქალაქეთა კრიტიკა არ აკლდა, მაგრამ გადაწყვიტეს მაინც მიეღოთ მონაწილეობა დამფუძნებელთა კრების არჩევნებში, პარტიამ წარადგინა 19 კაციანი საარჩევნო სია, სადაც 2 ქალიც შედიოდა. (N11 დარია თადეოსიანი და N19 სირანუშ ამირბეგიანი). პარტიის საკინდატო სია ძირითადად თბილისში მცხოვრები სომხებისგან შედგებოდა.[71]

პარტიის დამაარსებლები 1890 წელს იყვნენქრისტეფორ მიქაელიანი, როსტომ ზორიანი და სიმონ ზავარიანი. პარტია იყო მემარცხენე-სოციალისტური და ნაციონალისტური მიმართულების, მიზნების მისაღწევად არ ერიდებოდნენ ტერორს, მისი მთავარი ორგანო იყო გაზეთი „დროშაკი“. პარტიის მთავარი მიზანი იყო ოსლმალეთის იმპერიის ფარგლებში სომხური ავტონომიის მოპოვება. პარტია ფინანსდებოდა სომხური ბურჟუაზიისგან. 1906 წელს პარტიამ შეცვალა მიმართულება და გადაწყვიტა რუსეთის საშინაო ამბებში ჩარევა. ამის პირველი გამოვლენა იყო ბაქოში მოწყობილი სომეხ-თათართა ჟლეტა. 1908 „ახალგაზრდა თურქების“ მოსვლამ ხელი შეუწყო პარტიის კურსის ცვლილებას, ისინი ალიანს ქმნიდნენ რევოლუციურად განწყობილ პარტიებთან, ალიანსი ქონდათ ქართველ სოციალ-დემოკრატებთანაც. პირველ მსოფლიო ომში მათი 7 ბატალიონი მონაწილეობდა რუსეთის მხარეს, ამის სანაცვლოდ რუსეთს ხელი უნდა შეეწყო ოსმალეთის ტერიტორიაზე სომხური ავტონომიური სახელმწიფოს შექმნისთვის, 1918-1920 წლებში დაშნაკები სომხეთის მმართველი პარტია იყო.[72]

---

[71] **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ. 43.

[72]საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ, 125.

§2.5 საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

1901 წელს „ახალგაზრდა ივერიელებისა“ და ჟურნალ „მოამბის“ გაერთიანების შედეგად შეიქმნა გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ჯგუფი, რომელმაც ამავე წელს აირჩია მომავალი პოლიტიკური პარტიის ორგანიზაციული ჩანასახი. 1903 წლის 1 მაისს „ცნობის ფურცლელთა“ მთავარმა კომიტეტმა პარიზში გამოსცა გაზეთი „საქართველო“.[73]

„ცნობის ფურცელი“- „საქართველოს“ ჯგუფის ინიციატივით 1904 წლის აპრილში ჟენევაში შედგა ქართული პოლიტიკური ფრაქციების კონფერენცია. ამ ჯგუფის მიზანს წარმოადგენდა თავიანთ გარშემო შემოეკრიბათ იმხანად საქართველოში არსებული ეროვნული, რევოლუციური და ლიბერალური მიმართულების ფრაქციები, რომლებიც ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას აღიარებდნენ და შესაძლებლად მიიჩნევდნენ ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანებას. მასში მონაწილე ფრაქციებისგან: ავტონომისტ - „საქართველოისტების“; ეროვნულ-დემოკრატების; ანარქისტების; ესერების და უპარტიო პატრიოტების გაერთიანების შედეგად 1904 წელს შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. ამ კონფერენციის ძირითად წყაროს წარმოადგენს - ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა“, რომელიც 1904 წელს პარიზში გამოსცა გიორგი დეკანოზიშვილმა და თბილისში გამოაგზავნა.[74] პარტიაში შემავალ მიმდინარეობებს სხვადასხვა იდეალები ჰქონდათ. 1906-1907 წლებში პარტიიდან ჯერ ეროვნულ დემოკრატები, შემდეგ ანარქისტები გამოვიდნენ, ხოლო ესერების პარტიაში ინტეგრირება მოხდა.[75]

1907 ოქტომბერში შემდგარ მესამე კონფერენციაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტთა დამოუკიდებელი პარტია. კონფერენციაზე მიიღეს პარტიის წესდება და პროგრამა.

---

[73] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ. 4.

[74] **დ. შველიძე.** პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქარტველოში, ფედერალისტები. თბ, 1993. გვ, 125-126.

[75] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 5.

<u>სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა:</u>

პარტიის ძირითადი პრინციპები: მშრომელი ხალხის გათავისუფლება ქონებრივი, პოლიტიკური და ეროვნული მონობისგან, გათავისუფლება მხოლოდ მაშინ მოხდება თუ ხალხი დაანგრევს თანამედროვე ბურჟუაზიულ და ფეოდალურ საზოგადოებრივ სახელმწიფოებრივ წესებს და დაამყარებს სოციალიზმს.

სოციალიზმში იგულისხმება ქარხნების, ფაბრიკების, მიწის და სხვა სიმდიდრის გასაზოგადოება და გაუქმება, ხოლო ამ სიმდიდრის დანაწილება კერძო საკუთრებად.

სოციალიზმის განსახორციელებლად საჭიროა, რომ მშრომელმა ხალხმა ჩამოართვას გაბატონებულ კლასებს წარმოების იარაღები, ჩამორთმევა აუცილებლად უნდა მოხდეს რევოლუციის გზით, რადგან გაბატონებული კლასი თავისი ნებით არასდროს აიღებს ხელს ბატონობაზე.

სოციალ ფედერალისტთა პარტია ყოველგვარი ეროვნული დაჩაგვრის წინააღმდეგია და მოითხოვს ყოველ ერს მიეცეს ნება თავისი საქმე მოაწყოს ისე როგორც მას უნდა.[76]

<u>პოლიტიკური პროგრამა:</u>

- სიტყვის, წერის, კრების, მიმოსვლის სრული თავისუფლება.
- სრული თანასწორობა სამოქალაქო და საპოლიტიკო უფლებების, განურჩევლად სქესისა ეროვნების და სარწმუნოების.
- დემოკრატიული წარმომადგენლობითი მმართველობის შემოღება, რომელიც დამყარებული იქნება საყოველთაო, პირდაპირ, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფებაზე.
- ფართო საკანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაცია, სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობა.
- ადგილობრივი მმართველბის წესების შეცვლა - საადმინისტრაციო მმართველობის ნაცვლად შემოღებულ უნდა იქნას თვითმმართველობა, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ყველა ადგილობრივი საქმე.

[76] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 8.

ადგილობრივი თვითმმართველობის მოქმედება მიმართული უნდა იყოს ხალხის კულტურულ განვითარებაზე და საზოგადო სამსახურის საქმეების მუნიციპალიზაციისკენ.

- ყველა მოხელის გასამართლება უნდა მოხდეს საზოგადო წესით.
- სწავლა გახდება უფასო და სავალდებულო 16 წლამდე. ყველამ ბავშვობიდან უნდა შეისწავლოს ხელობა. სკოლებში ადგილობრივი თვითმმართველობა უნდა აწარმოებდეს საქმიანობას.
- ეკლესიის სახელმწიფოსგან განცალკევება.
- მუდმივი ჯარის გაუქმება და სახალხო ანუ სართო ლაშქრის - პოლიციის დაწესება.[77]

<u>**ეკონომიკური პროგრამა:**</u>

- არაპირდაპირი გადასახადების გაუქმება, რომელიც უმთავრესად მშრომელ ხალხს აწვება კისერზე.
- გადასახადების გაზრდა მემკვიდრეობაზე და საჩუქრებზე, გარდა შეწირულებისა, რომელიც საერთო კულტურულ საქმეებს უნდა მოხმარდეს.
- ყველა მშრომელისთვის დაზღვევა შრომის უნარის დაკარგვისგან და სიკვდილისგან.
- მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და მუშათა კანონმდებლობის განვითარება.
- დღეში მაქსიმუმ რვა საათის მუშაობა, აკრძალვა ბავშვებისთვის მუშაობის 16 წლამდე, მსუბუქი მუშაობა 16დან 20 წლამდე.
- სამუშაო ფასის მინიმუმის განსაზღვრა.
- ყოველ მუშას წლის განმავლობაში ერთი თვის თავისუფლება, კვირაში 48 საათი.
- გაფიცვის დროს მუშების ანაზღაურება არ უნდა შეწყდეს.
- მუშას გათავისუფლების შემთხვევაში წინასწარ უნდა ეცნობოს და დათხოვნის შემთხვევაში 3 თვის ხელფასი უნდა მიეცეს.

---

[77] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 10.

- თანასწორი ანაზღაურება თანასწორ მუშაობაში სქესის განურჩევლად.[78]

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოციალ-ფედერალისტებმა დაკარგეს ის გავლენა, რომელიც მათ მანამდე გააჩნდათ. ამის მიზეზად ოთარ ჯანელიძე მიიჩნევს იმას, რომ ავტონომია - ფედერაციის საკითხი იყო მოძველებული და არააქტუალური.[79] პარტიის გარკვეული ნაწილი გმობდა სოციალურ რადიკალიზმს, სწორედ ამ ნაწილისგან ჩამოყალიბდა „სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტია“.

§2.6. საქართველოს მუსულმანთა ეროვნული საბჭო.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობდა მუსლიმთა ეროვნული საბჭოც, რომელმაც გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნებშიც, ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტს პოლიტიკურმა პარტიამ ქართულ და რუსულ ენაზე შედგენილი 5 კაციანი საკანდიდატო სია წარუდგინა.

სია დამოწმებული იყო მუსლიმთა ეროვნული საბჭოს ბეჭდითა და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სკანდიდატო სიის პირველი ნომრის ალიბეგ ასლან აღა ოღლ ბაირამოვის ხელმოწერით.

პარტიამ 1919 წლის არჩევნებში ყველაზე ცოტა 6 ხმა მიიღო.[80] პარტიის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს და დამატებით მათზე რაიმეს თქმა რთულია.

§2.7. საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია

1917 წლის ოქტომბერში საქართველოს არასოციალისტურ პარტიებს კიდევ ერთი პოლიტიკური ორგანიზაცია შეემატა. ეროვნულ დემოკრატიული პარტიისგან გამოყოფილმა ჯგუფმა ჩამოაყალიბა პარტია სახელად საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია. ახალი პარტია ვერ იქცა მრავალრიცხოვან და გავლენიან ძალად, თუმცა მოკლე დროში მოასწრო შეექმნა პროგრამა და გამოეშვა

---

[78] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 11.

[79] **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002. გვ. 141.

[80] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ, 289.

საკუთარი ბეჭდვითი ორგანოც.რადიკალ-დემოკრატებმა მონაწილეობა მიიღეს რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, რომელიც ამ პარტიის დაარსებიდან ერთ თვეში გაიმართა. მართალია მათ დეპუტატის მანდატი ვერ მოიპოვეს, მაგრამ ამომრჩეველს თავიანთი თავი გააცნეს და მომავალი საქმიანობისთვის დაიწყეს მზადება.[81]

რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ძირითადი ბირთვი ყოფილმა ეროვნულ-დემოკრატებმა დავით ჩიქოვანმა, ალექსანდრე ახმეტელმა, სანდრო შანშიაშვილმა, დავით არონიშიძემ და სხვებმა შეადგინეს.

რადიკალ-დემოკრატთა ისტორიის აღსადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს მათ გაზეთს „ჩვენი რესპუბლიკა“, რომელიც 1917 წელს ოქტომბრიდან 1918 წლის მარტის ბოლომდე გამოდიოდა.[82]

მომავალი რადიკალ-დემოკრატების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძირითად ნაწილთან დაპირისპირების ნიშნები 1917 წლის ივნისში, ამ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე გამოიკვეთა. ეროვნულ-დემოკრატთა უმრავლესობამ არ გაიზიარა დავით ჩიქოვანის და სხვ. თვალსაზრისი და პროგრამაში არ შეიტანა მუხლი საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მოთხოვნის შესახებ.

მცირერიცხვონობის გამო იმ დროს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან გამიჯნულად არ გამოუცხადებია. მომდევნო თვეებში გააფართოვეს მომხრეთა წრე და 1917 წლის ოქტომბერში ცალკე პარტიად გამოიყვნენ.[83]

1917 წლის 19-23 ნოემბერს გაიმართა საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება. კრებამ დაადგინა პარტიული დაწესებულებების რეორგანიზაცია და აირჩია სამი კომიტეტი: მთავარი, თბილისის და სიღნაღის სამაზრო.[84]

პარტიის მთავარ კომიტეტში აირჩიეს: თედო სახოკია-თავჯდომარე; ალექსანდრე ახმეტელი, დიმიტრი დეკანოზიშვილი.

---

[81]საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 39.
[82] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 39.
[83] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 39-40.
[84] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 40.

თბილისის კომიტეტში შევიდნენ: ქრისტეფორე კაპანაძე - თავჯდომარე; ალექსანდრე გველესიანი, ნიკო კურდღელაშვილი, ივანე ბაქრაძე, გობრონ ციცქიშვილი, ვასილ ბარნოვი და ივანე არონიშიძე.

სიღნაღის სამაზრო კომიტეტი: კოტე ტყავაძემ-თავჯდომარე, დავით სამადაშვილი, ილო მოსაშვილი, ნიკო ტურიაშვილი, ალექსანდრე შანშიაშვილი.[85]

კრებამ „ჩვენი რესპუბლიკა“ პარტიის ორგანოდ დაადგინა და ყოველკვირეულიდან ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა. გაზეთის რედაქტორად დავით ჩიქოვანი დანიშნეს.

7 დეკემბერს სიღნაღში შედგა რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის სიღნაღის მაზრის ყრილობა. მას მაზრის სოფლების პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები დაესწრნენ. განიხილეს და მიიღეს პარტიის პროგრამა, რომელიც მთავარმა კომიტეტმა ჯერ კიდევ ივლისში შეიმუშავა. იმსჯელეს საორგანიზაციო და სხვ საკითხებზე, ხელახლა აირჩიეს სიღნაღის სამაზრო კომიტეტი, რომელიც ორი წევრით შეივსო. სიღნაღის კომიტეტში 7 კაცი აირჩა - ნ. კორაშვილი თავჯდომარე. შედგა მოწაფეთა კომიტეტიც.[86]

რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის მოწაფეთა კომიტეტი დაარსდა ყვირილაშიც.

პარტიის გეოგრაფიული არეალი სიღნაღის მაზრით შემოიფარგლა. ხელმძღვანელ პირთაგან თედო სახოკია თავდაპირველად სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო, ხოლო გაზეთ „საქართველოს“ პირველი რედაქტორი სანდრო შანშიაშვილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა.

რადიკალ-დემოკრატთა პარტიის წევრებს გარკვეულ საკითხებზე ყოფილ თანაპარტიელებისგან განსხვავებული შეხედულებები ქონდათ. ამ მხრივ გამოირჩევა გლეხთა პარტიის „ეკონომიკური რადიკალიზმი“. იგი ითვალისწინებდა საუფლისწულო, საკაბინეტო და სახაზინო მიწების გლეხობისთვის უფასოდ გადაცემას. ასევე თავადაზნაურ-მემამულეთათის ნორმაზე მეტი მიწების ჩამორთმევას, რომელიც მათი საკუთრებაა, მაგრამ უყურადღებოდ აქვთ დატოვებული. რადიკალები ეროვნულ-

[85] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 40.
[86] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 4.0

დემოკრატთა მიწის გამოსყიდვის მოთხოვნას „ზომიერ ლიბერალურ სულისკვეთებას“ უწოდებდნენ, ხოლო თავიანთ საპროგრამო დებულება ამ საკითხზე „ფეოდალური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის საშუალებად წარმოედგინათ.[87]

ეროვნულ-დემოკრატებს და რადიკალ-დემოკრატებს შორის დაპირისპირებას პოლიტიკური პარტიის კლასობრიობისა და ზეკლასობრიობის საკითხიც, იწვევდა. რადიკალები ამტკიცებდნენ რომ ყველა პოლიტიკური პარტია რომელსაც ეკონომიკური პროგრამა აქვს დამცველია რომელიმე კლასის. მათ სწამდათ კლასგარეშე მდგომი პარტიის არსეობობა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ასეთად არ მიაჩნდათ.

რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია იყო პირველი პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში, რომელმაც ოფიციალურად დააყენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. „ჩვენ განვსხვავდებით ყველა ქართული პარტიისგან იმით, რომ ჩვენ ვიბრძვით საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის“ - აღნიშნავდა გაზეთი „რესპუბლიკა“.[88]

რადიკალები საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობისგან მოელოდნენ, რომ მიიღებდა მკაფიო და ნათელ გადაწყვეტილებას საქართველოს პოლიტკური დამოუკიდებლობის შესახებ. „ეროვნული კრების დანიშნულებაა აღიაროს საქართველოს უზენაესი უფლებები და მანიფესტით აუწყოს მთელ ქვეყანას დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება. მანვე უნდა შეადგინოს საქართველოს სუვენერული დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობა, რომელსაც დაევალება დემოკრატიული წესით არჩეული სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა“ - რადიკალ-დემოკრატთა ორგანო ეროვნული ყრილობის გახსნის დღეს, 1917 წლის 19 ნოემბერი.[89]

რადიკალ-დემოკრატები აცხადებდნენ, რომ სურდათ ისეთი სახელმწიფო მოწყობა, რომელიც ყველაზე სახალხო და დემოკრატიული იქნებოდა, სადაც ბიუროკრატიის და

---

[87] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 41.
[88] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 41.
[89] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 42.

არისტოკრატიზმის ნაცვლად ერის ის ნაწილი გაბარონდებოდა, რომელიც შრომით ქმნის ღირებულებას, ერის გონებრივ და ქონებრივ სიმდიდრეს

სახელმწიფოს ამგვარ მოდელად მათ „ხალხის ხელმწიფების გამომხატველი“ დემოკრატიული რესპუბლიკა ესახებოდათ. უპრეზიდენტო, ერთპალატიანი საკანონმდებლო პარლამენტით.

დამოუკიდებელი საქართველოს პირველ წლებში რადიკალ დემოკრატები საჭიროდ მიიჩნევდნენ რომ ქართული სახელმწიფო „რეალუნიის“ წესით დაკავშირებოდა რომელიმე ძლიერ ქვეყანას. რადიკალები მკაცრად აკრიტიკებდნენ იმ პოლიტიკურ პარტიებს, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებს რომლებიც ვერ თმობდნენ რუსეთის ორიენტაციას. ამ პარტიის მოწონებას მსოფილო ომში მაშინდელი ფავორიტი გერმანია იღებდა[90]

რადიკალ-დემოკრატების განდგომა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან დიდხანს არ გაგრძელდა. 1919 წლიდან შეიმჩნევა ხელახალი ურთიერთდაახლოების პროცესი. ეროვნული და რადიკალ-დემოკრატები ერთიანი ბლოკით გამოვიდნენ საქალაქო ხმოსანთა არჩევნებში, რომელიც 1919 წლის 1-2 თებერვალს შედგა. იმავე წლის თებერვალში რადიკალ-დემოკრატიულმა გლეხთა პარტიამ დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში - ნომრით 7.[91]

გლეხთა პარტიამ ვერ შეძლო ხმების საჭირო რაოდენობის მოპოვება. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ამ პარტიის არცერთი წევრი ყოფილა არჩეული.

არჩევნებში დამარცხებამ რადიკალ-დემოკრატები დაარწმუნა, რომ ისეთ მცირერიცხოვან პოლიტიკურ ორგანიზაციას, როგორიც მათი პარტია იყო საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედება არ შეეძლო.[92] ამას დაერთო განხეთქილება რადიკალ-დემოკრატებში. რამაც დააჩქარა ამ პარტიის დაახლოება ეროვნულ-დემოკრატებთან.

---

[90] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 42.
[91] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 43.
[92] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 43.

1920 წლის ნოემბერში რადიკალ-დემოკრატები ჯერ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან გამიჯნულ ეროვნულ პარტიასთან გაერთიანდნენ. შეიქმნა ორგანიზაცია „მიწის მესაკუთრეთა დემოკრატიული“ პარტიის სხელწოდებით.

1921 წლის იანვარში თბილისში მოიწვიეს არასოციალისტური პარტიათა გაერთიანებული კონფერენცია, რომლის გადაწყვეტილებით ეროვნულ-დემოკრატები უპარტიოთა კავშირი და მიწის მესაკუთრეთა დემოკრატიული პარტია „საქართველოს დემოკრატიულ პარტიად“ ჩამოყალიბდნენ.[93]

<u>რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის პროგრამა:</u>

მიწის საკითხი- პარტია მოითხოვს, რომ მიწას ფლობდეს ხალხის ის ნაწილი რომელიც, მამულში შრომას შეიტანს და მეტ სარგებელს მოიტანს, პარტია დგას შრომისა და საერთო სარგებლიანობის ნიადაგზე. მოითხოვს ბატონყმობის გაუქმებას და ისეთი მიწათმფლობელობის დამყარებას, რომელიც გზას გაუხნსის წვრილ მესაკუთრეთა სამეურნეო მრეწველობას და აამაღლებს მათ ქონებრივად. პარტიას საჭიროდ მიაჩნია კერძო საკუთრების დაცვა კერძო საკუთრების ბატონყმობის გადმონაშთების სრულიად გაუქმებით.

სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მამულები უსასყიდლოდ გადაეცემა ხალხის მიერ დემოკრატიული წესით არჩეულ ადგილობრივ საერობო საბჭოს.

მსხვილ მიწათმფლობელთ, რომელთაც მამულები მემკვიდრეობით და უსასყიდლოდ მიიღეს და არავითარი მეურნეობა არ აქვთ მასზე გაშენებული ჩამოერთმევათ ნორმაზე მეტი მამული და გადაეცემა იმავე ფართო საერებო საბჭოს.

ფართო საერებო საბჭოს ევალება მის ხელში დაგროვილი მიწები მოახმაროს კერძო საკუთრების დაცვით ადგილობრივ მკვიდრ მიწის მუშებს.

<u>პოლიტიკური საკითხები:</u>

---

[93] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 39-43.

- პარტიის მიზანია რომ შექმნას ისეთი მმართველობა, სადაც გაბატონებული იქნება ერის ის ნაწილი, რომელიც შრომით ქმნის ერის ქონებრივ, გონებრივ სიმდიდრეს.
- ამ მიზნის მისაღწევად პარტიას შემდეგი დებულებები აქვს:
- დამყარება საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიული რესპუბლიკის, ანუ გლეხთა კანონმდებლობის.
- ხალხის საკანონმდებლო წარმომადგენლობა - პარლამენტი ერთპალატიანი, რომლის წევრებიც არჩეული იქნებიან საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და პროპორციული საარჩევნო წესით განურჩევლად სქესის, სარწმუნეობის, ეროვნების.
- რესპუბლიკა უნდა იყოს უპრეზიდენტო.
- კანონმდებლობის დროს რეფერენდუმის ჩატარება.
- ფართო სახელმწიფო დაზღვევა მოქალაქეები; ავადმყოფობის, უმუშევრობის, სიკვდილის და დასახიჩრებისგან.
- კანონი უნდა მოქმედებდეს შრომის წარმოების ყველა დარგში.
- შემოსავლის მიხედვით გადასახადის და სხვა გადასახადების გაუქმება.
- მოსამართლეთა არჩევა ხალხის მიერ.
- მუდმივი ჯარის გაუქმება და სახალხო მილიციის შემოღება.
- ეკლესიის სახლემწიფოსგან და სკოლისგან გამოყოფა.
- საყოველთაო და სავალდებულო სწავლების შემოღება.

<u>**ეროვნული საკითხი:**</u>

- პარტია ითვალისწინებს: წვრილ მესაკუთრე გლეხთა ეკონომიკურ ინტერესების დაცვის საჭიროებას; დემოკრატიულ წყობილების განმტკიცებას; საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას უცხო სახელწმიფოთა ძალდატანებისგან.[94]

[94] რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008. გვ, 44-47.

§2.8. საქართველოს ეროვნული პარტია.

პარტია შეიქმნა 1918 წლის 12 სექტემბერს, მისი დამფუძნებლები გამოეყვნენ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისგან გამოყოფის მიზეზს გრიგოლ ვეშაპელი ასე განმარტავდა: ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში თავიდანვე იყო ორი მიმართულება: ერთი მათი მიმართულება, რომელიც ყურადღებას აქცევდა სოფლის, მიწის, მესაკუთრეთა აგრარულ ინტერესებს. მეორე - გაზეთ „საქართველოს“ მიმართულება, მათი ყურადღება ქალაქის ბურჟუაზიული ინტერესებისკენ იყო.

ახალი პარტია ატარებდა „ეროვნულ და სოფლურ ინტერსებს“, მიზნად ისახავდა მშრომელი გლეხობის სამსახურს და საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლას.

პარტიამ მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1919 წლის თებერვალში და მიიღო 1532 ხმა. დამატებითი არჩევნების შემდეგ პარტიამ დააგროვა 9 000 მდე ხმა. საბოლოოდ ორი დეპუტატი გაიყვანა დამფუძნებელ კრებაში.

1920 წლის ივნისში ეროვნული პარტიის მთავარმა კოკმიტეტმა შეადგინა და გამოაქვეყნა პარტიის პრგრამა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო „მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პოლიტიკის“ ძირითადი დებულებები.[95]

1920 წლის 23-24 ოქტომბერს თვილისში შეიკრიბა ეროვნული პარტიის პირველი ყრილობა - კონფერენცია, რომელიც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პარტიის ცხოვრებაში. წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ თბილისიდან და პროვინციებიდან კონფერენციაზე 100 დელეგატი წარიგზავნებოდა. მაზრებს შორის დელეგატების რაოდენობას განსაზღვრავდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა. კონფერენციის წევრებად უნდა აერჩიათ ის პირები რომლებსაც შემდეგ საპარლამენტო სიაში შეიტანდნენ, [96]

მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის პროგრამა.

- საქართველო არის თავისუფალი დამოუკიდებელი სახელმწიფო რესპუბლიკა.

[95] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 48.
[96] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, გვ, 49.

- საქართველოს ტერიტორიას შეადგენს: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი და სვანეთი.
- ამიერკავკასიაში ადმინისტრაციული დანაწილების მიხედვით ამ ტერიტორიას შეიცავს: თბილისის ყოფილი გუბერნია, ბათუმის ოლქი, ზაქათალის, არტაანის ოლთისის ოლქები და ყაზახის მაზრა.
- ოსმალეთის-საქართველოს ტერიტორიას შეიცავს ლაზისტან-ჭანეთს და ისპირს.
- უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის პარლამენტს.
- პარლამენტს ირჩევენ სრულწლოვანი, საყოველთაო,თანასწორი,პირდაპირი და ფარული პროპორციული ხმის მიცემით განურჩევლად სქესისა.
- არჩევნების თავისუფლების დამრღვევები ისჯებიან სისხლის სამართლის წესით.
- უმაღლესი აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე.
- რესპუბლიკის უზენაესი წარმომადგენელი უნდა იყოს პრეზიდენტი.
- სამუსლიმანო საქართველოს, აფხაზეთის და ზაქათალის ოლქს აქვთ ავტონომია.
- მაჰმადიანთა მოსახლეობისთვის სამართალი უნდა იყოს მოწყობილი შარიათის წესით.
- ყველა არაქართველ ტომთა კულტურულ-ეროვნულ უფლებები დაცულია კანონებით.
- საქართველოს ყოველი ქვეშევრდომი თანასწორია კანონის წინაშე.
- პიროვნების თავისუფლება, ბეჭდვის შეკრების და მიმოსვლის.
- სასამართლო მთავრობისგან დამოუკიდებელია.
- არავინ შეიძლება დაისაჯოს სასამართლოს გარეშე.
- მიწა და სოფლის მეურნეობა.
- სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრებლით, მამულით და მეურნეობით.
- უმამულოს და მცირე მიწიანს სახელმწიფო აკმაყოფილებს მიწით იმ ფონდიდან, რომელიც ან ადრე იყო ხაზინის ხელში ან შემდეგ ჩამორთმეული მიწებიდან.

- მიწის ჩამორთმევის დროს დაწესებული უნდა იყოს ნორმა და შეფარდებული უნდა იყოს მამულის სამეურნეო მდგომარეობასთან.
- სახლ-კარი ვენახი, ბაღი, ბოსტანი და კულტურული მამული მეპატრონეს არ უნდა ჩამოერთვას.
- სახელმწიფო ტყეებიდან სოფლის მცხოვრებთ ხე-ტყის მასალა საჭიროებითვის უფასოდ უნდა მიეცეთ.
- ყველა საჩივარი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ საქმეზე უნდა გაირჩეს სასამართლოში, თუ საჩივარი მინისტრის განკარგულებას შეეხება - სენატში.
- სახლემწიფომ სამელიორაციო დახმარება უნდა გაუწიოს სოფლებს უვარგისი ადგილების დამუშავებისთვის, ჭაობების დაშრობა, სარწყავი არხების და გზების გაყვანა.
- სოფლის მეურნეთა ინტერესების დაცვა ეკისრება საქართველოს სოფლის სამეურნეო პალატას.

<u>სამხედრო საქმე:</u>

- სახელმწიფოს დასაცავად უნდა მოეწყოს ერთი მთლიანი რეგულარული ჯარი.
- ყველა არსებული შეიარაღებული ნაწილები უნდა გაერთიანდეს ჯართან.
- შეიარაღებულ ძალების გაერთიანებამდე ყველა არსებულ სამხედრო ნაწილებში სამსახურის პირობები უნდა იყოს თანაბარი.

<u>ეკლესია:</u>

- სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისგან.
- ყველას აქვს სარწმუნოების, სინდისის სრული თავისუფლება.
- სარწმუნოებრივი წესების დაუბრკოლებრივი შესრულება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით.
- ყველა სარწმუნოების მიმდევრებს აქვთ უფლება სარწმუნოებრივ საზოგადოებათა დაარსება და მათი შეკავშირება.
- სარწმუნოებრივ კავშირთა და საზოგადოებათა საკუთრება ხელუხლებელია.

- უქმე დღეები, როგორც ქრისტიანთათვის ასევე მაჰმადიანთათვის კანონით დაცული უნდა იყოს.
- სკოლებში საღვთო სჯულის სწავლება ყველა სარწმუნოების აღმსარებელთათვის.

<u>ფინანსები და მრეწველობა:</u>

- არანაირი გადასახადი არ უნდა აიკრიფოს, თუ არ არის პარლამენტისგან დამტკიცებული.
- ქაღალდის ბონის ნაცვლად უნდა გამოვიდეს ქართული ფული, უზრუნველყოფილი ევროპული წესით.
- არაპირდაპირი გადასახადები პირველი საჭიროების საგნებზე გაუქმდეს.
- სახელმწიფო სათანადოდ ხელს უნდა უწყობდეს საქართველოს შინამრეწველობას, მრეწველობას და აღებმიმცემობას, რათა ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო საქონელი საქართველოში მზადდებოდეს ჩვეულებრივ ფასში და მისაწვდომი იყოს ხალხისთვის.
- სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს კოოპორაციას, განსაკუთრებით მწარმოებელთა კავშირს.
- არავითარი რეკვიზიცია ან კონფისკაცია კერძო ქონების არ შეიძლება, თუ ის სახელმწიფოსთვის აუცილებელ საჭიროებას არ წამრმოადგენს
- მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებამ და მუშათა კლასის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა .[97]

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამა არ არსებობდა 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნისთვის, გვეხმარება შთაბეჭდილება შევიქმნათ არჩევნებში მონაწილე სუბიექტზე.

[97] საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ, 2008. გვ, 54-59

§2.9. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია.

ეს პარტია 1918 გამოეყო სოციალისტ-ფედერალისტთა მთავარ ჯგუფს და დამფუძნებელთა კრების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდა, სოციალ-ფედერალისტების ძირითადი ჯგუფისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მაშვრალთა ჯგუფის რადიკალური მემარცხენე შეხედულებები. განხეთქილება მას შემდეგ დაიწყო, რაც ეროვნული საბჭოს წევრი ალექსანდრე წერეთელი პარტიიდან გარიცხეს. მაშვრალთა პარტიამ დამფუძნებელთაკრების არჩევნებში წარადგინა 38 კაციანი საკანდიდატო სია, რომელშიც 3 ქალიც იყო. (20 ნინო დგებუაძე, 28 შუაშანიკა ქავთარაძე და 34 - ნადეჟდა ჩიკვაიძე). [98]

განხეთქილების მიზეზი სოციალ-ფედერალისტებთან საბოლოოდ გამოდგა პარტიის საკანდიდდატო სია დამფუძნებელთა კრებისთვის, პარტიის ყრილობაზე ოპოზიციურად განწყობილმა დატოვა დარბაზი და მეზობელ დარბაზში მიიღეს დადგენილება „მემარცხენე საოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის დაარსების შესახებ.[99] ამ გადაწყვეტილებას აკრიტიკებდა და ნაჩქარევს უწოდებდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის საბჭო, მათ თავიანთი რიგებიდან გარიცხეს ალექსანდრე წერეთელი.

პარტიამ 1919 წლის აპრილში ჩაატარა პირველი კონფერეცია, პარტიის ლიდერები იყვნენ: ალექსანდრე წერეთელი, ძმები ისიდორე და ვასილ ვარაზაშვილები, სერგო გერსამია, კოკი ჟორდანია და სხვა. ორგანიზაციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა ვარლამ ჩერქეზიშვილმა, მათი გაზეთი იყო „ახალი ნაკადი“ დამფუძნებელთა კრებისთვის მათ არ ქონიათ კონკრეტული პროგრამა, მაგრამ ისახება ანარქისტული შეხედულებები, ასევე პარტია მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფალ სოციალიზმს და უარყოფდნენ მარქსისტულ-ბოლშევიკურ სოციალიზმს.

---

[98] **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ. 56-57.

[99] **ალ. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1918-1921 წწ). თბ, 2001. გვ, 142.

§2.10. შოთა რუსთაველის ჯგუფი.

ამ ჯგუფს ვერ ვუწოდებთ პარტიას, ეს იყო მცირე ჯგუფი, რომელმაც წარადგინა დამფუძნებელთა კრების არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი ევგენი დვალი. წარდგენილ ბარათს ხელს აწერდა 55 პირი და უნდა აღინიშნოს, რომ ამდენივე ხმაც ვერ მიიღო. ევგენი დვალი იყო მწიგნობარ-მწერალი, ამ პარტიამ 1919 წლის არჩევნებში მთელი რესპუბლიკის მასშტაბით მოაგროვა 51 ხმა.

§2.11. დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირი.

ეს იყო ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ქართული ინტელიგენციისგან, ჯგუფში ერთინდებოდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ექიმები, იურისტები და სხვა. სიაში წარმოდგენილი იყვნენ მოქმედი ეროვნული საბჭოს წევრებიც: გენერალი კონსტატინე აფხაზი და პოეტი - კოტე მაყაშვილი, 10 კაციან საკინდიდატო სიაში ასევე შედიოდნენ: ცნობილი იურისტი და დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი, ცნობილი ექიმი ვახტან გამბაშიძე და სხვები. ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ამ სიაში შედიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებელი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც სიაში იყო მეორე.[100]

მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანებმა საქართველოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს, იმ დროისთვის მათი, როგორც წამყვანი პოლიტიკოსების განხილვა არასწორი იქნებოდა. პარტიამ არჩევნებში მხოლოდ 795 ხმის მოგროვება მოახერხა და ვერც ერთი წარმომადგენელი ვერ გაიყვანა დამფუძნებელთა კრებაში. არც ამ ჯგუფის განხილვა არ ღირს პოლიტიკური პარტიის კონტექსტში. თუმცა გააჩნდა პოლიტიკური პლატფორმა თავისი მკაფიოდ ჩამოყალიბებული მუხლებით, ერთ-ერთი მთავარი იდეა იყო საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს გაძლიერება, საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარება დემოკრატიული გზით. ამ მიზნების განსახორციელებლად კავშირი გეგმავდა კრებების გამართვას, რეფერატების მომზადებას საჭირბოროტო სახელმწიფოებრივ საკითხებზე და

[100] **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017. გვ. 59.

სხვ. კავშირის ხელმძღვანელი იყო საბჭო, რომელიც შედგებოდა 12 წევრისგან: ირაკლი გუნცაძე, პროფ. ივანე ჯავახიშვილი, კონსტანტინე აფხაზი, დუტუ მეგრელი, ივანე აფხაზი, კონსტანტინე ამირეჯიბი, ესტატე მაჩაბელი, გიორგი ჯაფარიძე, გრიგოლ გაბაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, კოსტანტინე მაყაშვილი და დავით კარიჭაშვილი. საბჭოს თავჯდომრედ ზოგიერთ დოკუმენტში მხსენიებულია ირაკლი გუნცაძე, ხოლო ზოგან - გიორგი ჩაჩიბაია.

უპარტიოთა კავშირის პოლიტიკური მრწამსი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიას შეესაბამებოდა. უპარტიოთა კავშირის პირველი პოლიტიკური აქტივობა თბილისის საქალაქო არჩევნებში გამოიხატა, რომელიც 1919 წლის 1-2 თებერვალს გაიმართა. დამფუძნებელი კრების არჩევნებში უპარტიოთა კავშირი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან ბლოკში გაერთიანებას აპირებდა. ამით აიხსნება, რომ ცენტრალურ საარჩვნო კომისიაში წარდგენილ ეროვნულ-დემოკრატთა საკანდიდატო ხელნაწერ სიაში შეყვანილი იყო უპარტიოთა კავშირის 7 წევრი. ბოლო მომენტში კავშირმა ეროვნულ-დემოკრატთაგან გამოყოფა გადაწყვიტა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღო მონაწილეობა.[101]

§2.12. ბორჩალოს მაზრის მუსულმანები.

ეს იყო 1919 წლის დამფუძნებელთა კრების არჩევნებში მინაწილეობის მისაღებად შექმნილი მცირე პოლიტიკური პარტია, რომელმაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წარადგინა 5 კაციანი საკანდიდატო სი.არჩევნებში მათ მხოლოდ 77 ხმის მიღება შეძლეს.

§2.13. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ).

რა თქმა უნდა ამ პარტიას დამფუძნებელთა კრებაში ერთი კანდიდატის გაყვანის მცირე შანსიც არ ქონდა, მას შემდეგ რაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას გამოეყვნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოში, მათ დაკარგეს ყველანაირი გავლენა, მათი პარტია არჩევნებში მხოლოდ 7 კანდიდატით იყო

[101] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ, 109-110.

წარმოდგენილი. სიის პირველი ნომერი იყო რუსეთის დუმის ყოფილი წევრი არშაკ ზურაბოვი.

§2.14. ესტეტიური ლიგა პატრიოტებისა.

ქართველ ხელოვანთა გაერთიანება, აქ შედიოდნენ მწერლები, პოეტები და მხატვრები, ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა 1919 წლის იანვარში დამფუძნებელთა კრებაში არჩევნების მონაწილეობის მისაღებად. ჯგუფში შედიოდნენ: პაოლო იაშვილი, იაკობ ნიკოლაძე, პავლე ინგოროყვა, ტიციან ტაბიძე ლადო გუდიაშვილი და სხვა. თავდაპირველად ტიციან ტაბიძე და პავლე ინგოროყვა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ და დამფუძნებელ ყრილობაზე მოხსენებითაც გამოვიდნენ მიმდინარე საკითხზე „საქართველოს ტერიტორია", ტიციან ტაბიძე კი პრეზიდიუმის წევრიც იყო, როგორც ყრილობის ერთ-ერთი მდივანი, როდესაც გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა. ესთეტიური ლიგის შექმნის შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამი ლიგის პროფილსა და პოლიტიკურ გეზზე, არც საარჩევნო პლატფორმა გამოუყენებია და წინაასაარჩევნო კამპანაც არ უწარმოებია. საკანდიდატო სიაში მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი 6 კაცი შედიოდა, ლიგისთვის არჩევნები წარუმატებელი აღმოჩნდა და მოლოდ 53 ხმა მიიღეს. განცხდილი მარცხის შემდეგ ლიგის ლიდერები აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორდნენ.[102]

§2.15 საქართველოს ელინთა პარტია.

1919 წლის დამფუძნებელთა კრებისთვის შექმნილი მცირე პოლიტიკური პარტია, რომელმაც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 10 კაციან საკანდიდატო სია წარუდგინა, სიის პირველი ნომერი იყო ექიმი ალექსანდრე მიხაილოვი, რომელიც 1918 წლის 13 სექტემბერს მიღებული გადაწყვეტილების (კანონი ეროვნულ საბჭოში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების შეყვანის შესახებ.) შედეგად ეროვნულ საბჭოში მოხვდა. ამ ჯგუფისთვის არჩევნები წარუმატებელი აღმოჩნდა და მათ მხოლოდ 14 ხმისმოგროვება მოახერხეს.

[102] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018. გვ, 156.

მესამე თავი

წინასაარჩევნო კამპანია და პარტიების იდეოლოგიური დაპირისპირება

1919 წლის დასაწყისიდან აქტიურად მიმდინარეობდა წინასაარჩვნო კამპანია, არჩევნებში ჩართული პოლიტიკური პარტიები აქტიურად ცდილობდნენ სხვა პარტიების დისკრედიტაციას, გაშავებას და ამის ხარჯზე საკუთარი რეიტინგის გაზრდა - ამომრჩეველთა მეტი ნაწილის გადაბირებას და საბოლოოდ გამარჯვებას. წინასაარჩევნო კამპანია და იდეოლოგიური დაპირისპირება ძირითადად პრესისი ფურცლებზე მიმდინარეობდა[103] და სწორედ პერიოდული გამოცემებია ჩვენი მთავარი წყარო ამ საკითხის კვლევაში.

1919 წლის 29 იანვარს გაზეთ „სახალხო საქმეში“ საინტერესო სტატია დაიბეჭდა რომლის მთავარი მიზანიც არჩევნებში მონაწილე გარკვეული პარტიების დისკრედიტაცია და სციალისტ-ფედერალისტების იდეების პროპაგანდა იყო. გაზეთის პირველივე გვერდზე დაბეჭდილი სტატიის მთავარი დარტყმის ობიექტი ორი პარტია იყო „დაშნაკციუთუნი“ და რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. სტატიაში აღნიშნულია, რომ „ამ არჩევნებში საშინელი ბრძოლა გამოგვიცხადეს სომხებმა. არა პირდაპირი, საარჩევნო ბრძოლა, არამედ ქურდული და ზურგს უკან დაცემის პოლიტიკის დამახასიათებელი“.[104] ავტორის მთავარი მიზანია 1918 წლის საომარ მოქმედებებში „დაშნაკელების“ დადანაშაულება და ამით მათი „გაშავება“. ავტორი წერს, რომ სომხები ვერ ეგუებიან თავიანთი გავლენების დაკარგვას საქართველოში, მათ შორის თბილისში და ცდილობენ მის აღდგენას არა კულტურული მეთოოით, არამედ იარაღის საშუალებით. ავტორის შეტევის ობიექტი იყო ასევე რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ავტორის აზრით ეს პარტია ქართული ინტერესების გამტარებელი არ არის და ის წინააღმდეგია საქართველოს დამოუკიდებლობის და მომხრეა რუსეთთან

[103] პოლიტიკურ პარტიათა დიდ ნაწილს საკუთარი გაზეთი ჰქონდა.
[104] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 1.

ნებაყოფლობით შეერთებისა. ავტორი მოუწოდებს ამომრჩეველს რომ გამოცხადდეს არჩევნებზე და დააფიქსიროს სწორი არჩევანი: „ჩვენ კარგად ვიცით ამ ბნელი ხალხის (აქ იგულისხმება „დაშნაკციუთუნი“ და რუსეთის სოიალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. შ.კ.) განზრახვა. ისიც კარგად ვიცით, რას ნიშნავს „შეერთება“ დენიკინთან ან ბოლშევიკებთან. ეს ვაუბატონები მოსისხლე მტრები არიან ჩვენი ხალხისა და ჩვენი რესპუბლიკისა, თუმცა ძალიან მოხერხებულად ეხვევიან სოციალისტურ ქურქში. არც ერთი ხმა მათ!“[105]. სტატიაში ავტრი აკრიტიკებს სხვა პარტიებსაც ძირითადად მთავარ კონკურენტებს სოციალ-დემოკრატებს და ეროვნულ დემორატებს. კეროდ, კი ეროვნულ-დემოკრატები რუსეთთან თანამშრომლობაში არიან დადანაშაულებულნი: „ქართველმა ამომრჩეველმა ზურგი უნდა აქციოს ასევე იმ მრავალ ბურჟუაზიულ პარტიებს, რომელნიც თავის სიცოცხლეს ატარებდნენ რუსეთის მთავრობის ლაქიობაში და ეხლა ქვეყნის მხსნელად, ქვეყნის მარილად მოაქვთ თავი. არც ერთი ხმა ლაჩარ ნაციონალიზმის წარმომადგენლებს!“[106] სოციალ-დემოკრატებს კი ავტორი ადანაშაულებს იმაში, რომ ისინი სულ ცოტა ხნის წინ საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი იყვნენ: „სოციალ-დემოკრატია შარშან გამოდიოდა სხვათა შორის ამ ლოზუნგით: ხმა არ მისცეთ სოციალისტ ფედერალისტებს, რადგან ისინი რუსსეთისგან ჩამოშორებას და ავტონმიას მოითხოვენო. დღეს კი უდიდეს მუხლად თავის საარჩევნო პროგრამისა უწერიათ დამოუკიდებლობა საქართველოსი და მისი დაცვა“.[107] სტატიის მთავარი მიზანი იყო არჩევნებში მოწინავე პარტიების, ასევე ეროვნული ინტერესების არმქონე პარტიების დისკრედიტცია და მათთან შედარებით სოციალისტ-ფედერალისტების უპირატეობის ჩვენება ამომრჩევლისათვის. სტატიაც შემდეგი ლოზუნგით მთავრდება „მაშ მოქალაქენო, ხმა მიეცით მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტთა სიას მე-5 ნომერი!“[108]

წინასაარჩევნო ლოზუნგით იწყება „სახალხო საქმის“ 1919 წლის 22 იანვრის ნომერიც. მოწოდებაში სოციალისტ-ფედერალისტები ამომრჩევლებს მოუწოდებენ უკლებლივ გამოცხადდნენ არჩევნებზე და დააფიქსირონ სწორი პოზიცია. ისინი

[105] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 1.
[106] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 1.
[107] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 1.
[108] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 1-2.

ამომრჩევლებს მოუწოდებენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუჭირონ მხარი რამდენიმე პოლიტიკურ პარტიას, რომლებიც მათი აზრით საქართველოს ინტერეების გამტარებლები არ არიან. მტრული პოზიციაა გატარებული რამდენმე პარტიის მიმართ: „დაშნაკების, რუსი სოციალ-დემოკრატები, კადეტები, ესერები და ძმანი მათნი, ყველა მოსისხლე მტერი ჩვენი თავისუფლებისა“.[109] ავტორი განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოხატავს იმ ფაქტის შესახებ, რომ არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღონ რუსებმა - რუსების სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ. ლოზუნგს ნაციონალისტური ელფერი გასდევს და ავტორი „უცხოტომელთა“ მონაწილეობას არჩევნებში შემდეგნაირად აფასებს: „განა შესაძლებელია უცხო ქვეყნის პარტიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო არჩევნებში? თუ კი ამ ვაჟბატონებს ჩვენი მოქალაქეობა არა ჰსურთ, განა მოსათმენია, რომ ისინი გახდნენ თუნდაც მცირედაც მაინც ჩვენი დედა-ქალაქის ბედის გადამწყვეტნი? ჩვენ გვგონია რომ არა“.[110]

სოციალ-დემოკრატების კრიტიკას იმავე გაზეთში აგრძელებს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი და ერთ-ერთი ლიდერი თედო ღლონტი.[111] სტატიის სათაურია „შესრულებული მისია“. წინა სააგიტაციო განცხადებისგან განსხვავებით თედო ღლონტის კრიტიკა სოციალ-დემოკრატებსადმი ნაკლებად რადიკალურია და მათი უარყოფითი თვისებებთან ერთად დადებითებსაც უსვამს ხაზს. თედო ღლონტი დადებითად აფასებს სოციალ-დემოკრატების დამსახურებას საქართველოს განთავისუფლების საქმეში და ასევე მის მმართველ ორგანოში საქართველოს პარლამენტში, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ „საქართველოს პარლამენტი თავის მუშაობას ასრულებს, იმ პრინციპების უარყოფით, რომლითაც მუშაობა დაიწყო“[112], აქ ავტორი გულისხმობს იმას, რომ პარტიათა კონსოლიდაცია დაირღვა, რისი გამომწვევი მთავარი ფაქტორიც იყო ეკონომიკურ საითხებში პარლამენტში მყოფ პარტიათა შეუთანხმებლობა,

[109] გაზ: „სახალხო საქმე“, 22 იანვარი 1919, #437. გვ. 1.
[110] გაზ: „სახალხო საქმე“, 22 იანვარი 1919, #437. გვ. 2.
[111] თევდორე (თედო) ღლონტი სოციალისტ-ფედერალისტების საარჩევნო სიაში მე-9 ნომრად იყო განთესილი, შესაბამისად ის არჩევნების შედეგ დამფუძნებელ კრებაში ვერ მოხვდა, გამომდინარე იქედან, რომ პარტიას მიღებული ხმები მხოლოდ 8 კაცის შესაყვანად ყოფნიდა, თუმცა არჩევნებიდან დაახლოებით 1 თვეში მან იოსებ გედევანიშვილი (საარჩევნო სიის მე-7 ნომერი) ჩაანაცვლა დამფუძნებელ კრებაში.
[112] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 2.

კერძოდ კი თედო ღლონტის აზრით აგრარულ საკითხთან მიმართებაში ერთ აზრზე მყოფ სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლუციონერების სოციალურად მართებულ პოლიტიკას, ასევე ერთ აზრზე მყოფმა სოციალ-დემოკრატემბა და ეროვნულ-დემოკრატებმა დაუპირისპირეს ბურჟუაზიული პოლიტიკა. აქედან გამომდინარე ფიქრობს სწრედ თედო ღლონტი, რომ სოციალ-დემოკრატების დომინანტობის დრო დამთავრდა, ის ფიქრობს, რომ ადრე თუ სოციალ-დემკრატია პოლიტიკური და ეკონომიკური რადიკალიზმის მოხრე იყო ეხლა ესე არ არის: „ბევრს გონია, რომ სოციალ-დემოკრატების ეკონომიური და პოლიტიკური რადიკალიზმის უარყოფა გამოიწვია მათ ხელში სახელმწიფოებრიობის გადასვლამ, რომ ისინი პრაქტიკული ხალხი შეიქმნენ. რასაკვრიველია ეს შერეული ახსნაა მოვლენისა“[113] წერს ავტორი, გარდა ამისა მისი აზრით სოციალ-დემოკრატიას პროგრამა მოუძველდა და მისი ლოზუნგები 50 წლის წინ თუ იქნებოდა პოპულარული - „ამნაირად დღეს დაშრეტილია ის მთავარი წყარო აზროვნებისა და შემოქმედებისა, რომლისთვისაც სოციალ-დემკრატების პოლიტიკა იქნება, პოლიტიკა არა რევოლუციური და პროგრესული, არამედ კონსერვატიული და რეგრესული“.[114]

გაზეთ „სახალხო საქმის“ მძიმე კრიტიკის ობიექტი იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტია, რომელიც სოციალისტ-ფედერალისტებს 1918 წელს გამოეყო. წინასაარჩევნო პერიოდში „სახალხო საქმე“ მათ საწინააღმდეგოდ ბევრს და მწვავედ წერდა. ერთ-ერთი იყო ქრისტოფორე რაჭველიშვილის[115] პასკვილი ალექსანდრე (ალიოშა) წერეთლისადმი[116], რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1919 წლის 21 იანვარს დაიბეჭდა. პასკვილს მწვავედ კრიტიკული ხასიათი აქვს და ძირითადად არა მაშვრალთა პარტიის დისკრედიტაციას, არამედ კონკრეტულად ალიოშა წერეთლის გაშავებას ისახავს მიზნად. რიგ შემთხვევებში ავტორი უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავეს წერეთელს და პიროვნულ შეურაცხყოფასაც არ ერიდება, უწოდებს რას მას უტვინოსა და

[113] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 2.
[114] გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443. გვ. 2.
[115] სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი და საარჩევნო სიის 21-ე ნომერი.
[116] საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა მაშვრალთა პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პარტიული საარჩევნო სიის მე-2 ნომერი.

ზნეობრივი სიფაქიზის არმქონეს. რაჭველიშვილის მიზანია ამხილოს „რენეგატები“ და მათი ლიდერი, რომელიც ძირითად პარტიას, ავტორისვე აზრით, იმიტომ კი არ ჩამოშორდნენ, რომ პრინციპული სხვაობა არსებობდა არამედ იმიტომ რომ წერეთელს პარტიის ლიდერობა უნდოდა და ვერ მიიღო: „ეხლა ამ ვაჟბატონმა „პარტია“ შეჰქმნა, ლიდერი გახდა. თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია... ბ. ალიოშა გვეუბნება: თუ რა პრინციპული განსხვავება არის ჩვენს შორის, ბ. მაშვრალო! ჩვენს შორის პრინციპული განსხვავება კი არ ყოფილა, არამედ უპირველესად ყოვლისა ზნეობრივი განსხვავება იყო და არის“.[117] ქრისტოფორე რაჭველიშვილის ამ პასკვილს, რა თქმა უნდა წინასაარჩევნო პროპაგანდის დანიშნულებაც ჰქონდა, პარტიის გაყოფის შემთხვევაში მარტივად იქნებოდა შესაძლებელი, რომ მაშვრალთა პარტიას სოციალისტ-ფედერალისტების ხმების ნაწილი მიეღო თუ კი ეს უკანასკნელი საზოგდოების თვალში „მაშვრალთა“ დამცირებას ვერ შეძლებდნენ.

ალიოშა წერეთლისა და „მაშვრალთა პარტიის“ კრიტიკა „სახალხო საქმის“ სხვა ნომრებშიც უხვადაა. ავტორები უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ ოპონენტებს, უპირველესად კი ალიოშა წერეთელს, რაც იმ დროინდელი პოლიტეთიკის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ. 1919 წლის 22 იანვრის ნომერში მე 3-4 გვერდებზე ქვეყნდება სოცალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრის, დამფუძნებელი კრების არჩევნებზე პარტიის მე-13 ნომრის ერასტი ტოროტაძის წერილი სათაურით „ახალი პარტია“. ავტორი აქ კრიტიკულად მიმოიხილავს „მაშვრალთა პარტიის“ შექმნას და ცდილობს მაქსიმალურად გააშავოს პარტიის, მისივე თქმით, ფსევდო იდეოლოგია და ორი ლიდერი ალიოშა წერეთელი და ისიდორე ვარაზაშვილი. ტოროტაძე პარტიას ფსევდომემარცხენედ მიიჩნევს და ამის დასამტკიდებლად კონკრეტული არგუმენტებიც მოჰყავს, მაგალითად ის ფაქტი, რომ აგრალური კანონის განხილვისას წერეთელი სოციალიზაციის წინააღმდეგ ლაპარაკობდა.[118] პარტიის იდეოლოგიის კრიტიკის შემდეგ ავტორი „მაშვრალთა პარტიის“ ორ ლიდერს ვარაზაშვილს დაწერეთელს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს. მის განსაკუთრებულ ანტისიმპათიას იწვევს წერეთლის ფიგურა და მის დამახასიათებელ

[117] გაზ: „სახალხო საქმე“, 21 იანვარი 1919, #436. გვ. 2.
[118] ახალი პარტია. გაზ: „სახალხო საქმე“, 22 ინვარი 1919, # 437. გვ. 3.

თვისებებად მოჰყავს: „თანდაყოლილი ინტრიგნობა, მუხანათობა, გადაჭარბებული პატივ-მოყვარეობა, ერთგვარი ავადმყოფური მანია განდიდებისა, პირველობისა, ლიდერობისა და საამისოდ ის არაფერს არ დაერიდება, არაფრის წინაშე არ შესდგება. ამ საქმეში ის მართლაც „მემარცხენეა“... და მან 13 იანვარს მიაღწია თავის მიზანს: პარტიას გამოაგლიჯა ჯგუფი გულუბრყვილო ამხანაგებისა და ამ ჯგუფის სათავეში მოექცა, ლიდერი გახდა „ახალი პარტიისა“, ყოველ შემთხვევაში დაასუსტა უკვე არსებული პარტია“.[119] როგრც ვხედავთ ტოროტაძე პირდაპირ მიუთითებს თუ რას ეძღვენაბ ეს სტატია - ალად შექმნილი პარტიის დისკრედიტაციას, რომელმაც შეძლო და დაასუსტა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. ავტორისვე თქმით ამის „შემოქმედი“ იყო ალიოშა წერეთელი და მისი მოღალატეობრივი „იდეური ძმები“. ამის შემდეგ ავტორიო ისიდორე ვარაზაშვილის კრიტიკაზე გადადის და ბრალს სდებს მას წერეთლის „იდეურ ნათესაობაში“: „მეორე ლიდერი და სულის ჩამდგმელი (მაშვრალთა პარტიისა შ.კ.) გახლავთ ისიდორე ვარაზაშვილი, ცნობილი მილიონერი, მრეწველი, ექსპლოატატორი მუშათა კლასისა, რომელის მხოლოდ მას შემდეგ გამემარცხენდა, რაც მისი ძმა სახელმწიფოს ზარალად ფინანსურ ოპერაციების წაროებისთვის დაპატიმრებულ იქნა და როცა სიდორე ვარაზაშვილს უარი უთხრა ფრაქციამ ძმის განთავისუფლების შუამდგომლობაზე“.[120] როგორც ვხედავთ სოციალისტ-ფედერალისტური პრესა „ახალი პარტიის“ ლიდერებს ერთგვარ რევანშიზმში ადანაშაულებს - წერეტელი მათთვის ლიდერობის სურვილს აყოლილი პოლიტიკოსია, ხოლო ვარაზაშვილი რევანშისტი და შურისმაძიებელი, რომელმაც პარტიას არ აპატია ის, რომ თავისი ძმის გნთავისუფლებაში პარტია არ დაეხმარა.

საბოლოო ჯამში 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევების წინ საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის ბეჭდური ორგანოს გაზეთ „სახალხო საქმეს“ პოლიტიკას თუ მიმოვიხილავთ უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მიმართულება რა კუთხითაც აწარმოებდა ბრძოლას გაზეთი. გაზეთის 1919 წლის იანვარ-თებერვლის ნომრების სარედაქციო პოლიტიკა მთლიანად ჯდება წინასაარჩევნო იდეოლოგიური ბრძოლის

[119] ახალი პარტია. გაზ: „სახალხო საქმე“, 22 ინვარი 1919, # 437. გვ. 3.
[120] ახალი პარტია. გაზ: „სახალხო საქმე“, 22 ინვარი 1919, # 437. გვ. 3.

ჭრილში. „სახალხო საქმის“ ფურცლებზე ცხადად ჩანს პარტიის იდეოლოგიური ხაზი და პრობლემატიკა რის წინააღმდეგაც ის იბრძვის. წინასაარჩევნო პერიოდში გაზეთი აქტიურად ილაშქრებდა ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით და ამომრჩეველს სთავაზობდა მისი გადაჭრის გზებს. განსაკუთრებით აქტიური იყო გაზეთის სარედაქციო პოლიტიკა რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ, აქტიურად მიმდინარეობდა რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ ბრძოლა. გაზეთი განსაკუთრებით აკრიტიკებდა არჩევნებში მონაწილე შემდეგ პარტიებს: სომეხთა რევოლუციონერული პარტია „დაშნაკციუთუნი“, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, ასევე ესერებსა და კადეტებს, ამ პარტიებს გაზეთი „უცხოტომელთა“ ინტერესების გამტარებლად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ საზოგადოებას მათდამი არანაირი მხარდაჭერა არ ჰქონოდა. გაზეთი აქტიურად აკრიტიკებდა მის მთვარ კონკურენტ პარტიებს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასა და ეროვნულ დემოკრატებს, სდებდა რა მათ ბრალს რეგრესულობასა, კონსერვატიზმსა და რევოლუციური იდეების ნწილობრვ მივიწყებაში. „სახალხო საქმე“, პირდაპირ რომ ვთქვათ, განსაკუთრებულ აგრესიას გამოხატავდა ახლად შექმნილ „მაშვრალთა პარტიის“ მიმართ, გამომდინარე იქედან, რომ ისინი იყვნენ სოციალისტ ფედერალსტების განაყოფნი - არჩევნებამდე სულ ცოტა ხნით ადრე ალიოშა წერეთლის მეთაურობით სოციალისტ-ფედერალისტური პარტია დატოვა მისმა ნაწილმა და ახალი პარტია შექმნა, რამაც, რა თქმა უნდა შეამცრირა სოციალის-ფედერალისტების წინასაარჩევნო შანსები.

წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ერთობა“, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა სტატიები არჩევნებში კონკურენტი პარტიების კრიტიკისა და ასევე მოცემული პარტიების კრიტიკის პასუხები. 1919 წლის 10 იანვრის ნომერში გაზეთის გარკვეული ნაწილი ეთმობა „დაშნაკციუთუნისა“ და რუსეთის სოციალ-დემოკრატებისთან პოლემიკას. უპირველესად კი კრიტიკის ობიექტია ამ უკანასკნელი პარტიის ლიდერი არშაკ ზურაბოვი, რომელიც საქართველო-სომხეთის ომში ქართულ სოციალ-დემოკრატიას ადანაშაულებდა. გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული სტატია „თფილისელ რუს „სოციალდემოკრატებს““ ადანაშაულებს ინტერნაციონალიზმის ნიღბის ქვეშ პატარა

ერების უფლებების უარყოფაში: „ამ ბოლო დროს მათ რაზმას ახალი რაინდი მიემატა. ეს გახლავთ ა. ზურაბოვი. ამ უკანასკნელისნ ამპლუა დაშნაკების კუდში რბენაა: რასაც კი „ორიზონი“, „აშხატავორი“ და სხვა ნაციონალისტურ-შოვინისტრი სომხური გაზეთები დასწერენ და გამოთქვამენ ნაციონალისტური თვალსაზრისით, მას ა. ზურაბოვი ბრძნულად იმეორებს შვენს შესახებ ინტერნაციონალისტური საბუთებით შეკაზმულს. ამას გარდა მას ერთი დიდი ღირსება აქვს კიდევ: ქართულის არ ცოდნა, აგრეთვე არ ცოდნა ფაქტებისა, და ყველა ჩვენს შესახებ ნათქვამი ჭორების ბრძნული კილოთი და დაჯერებით განმეორება“[121]. სტატიის ავტორი არშაკ ზურაბოვს სომხებთან მოღალატეობრივ კავშირში ადანაშაულებს და გარდა ამისა აერთმნიშვნელინებს რუსეთის სოციალ-დემოკრტიულ პარტიასა და დაშნაკებს, რომლებიც ერთობლივად ადანაშაულებდნენ ქართულ სოციალ-დემოკრატიას სომხეთ-საქართველოს ომის პროვოცირებაში, ასევე იმაში, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლებას სამარისად არ უცდია ომის დროულად დასრულება.[122]

იმავე პარტიების კრიტიკას ეთმობა „ერთობის“ შემდეგი დღის ნომრის პირველი გვერდიც. სვეტში, რომელიც ქალაქის არჩევნებ ეძღვნება დასნაკების, საზოგადოების ორად გაყოფას აქცევს ყურადრებას: „პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადგილობრივი პრესა და საზოგადოება ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე ჯგუფად გაიყო: ერთი სდგას დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის საფუძველზე, ხოლო მეორეს ასულდგმულებს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს დანგრევის სურვილი. და ვინ გინდათ რომ ამ მეორე ბანაკში არ იყოს მოკალათებული: ზომიერი, სასტიკ კანონიერების გზაზე მდგომი კადეტები და უკიდურესი „მემარცხენე“ სოციალისტ-რევოლუციონერები, „ჭეშმარიტი“ ინტერნაციონალისტები არშაკ ზურაბოვის და ფირუმოვის ტიპისა და აღვირ-წახსნილი შოვინისტი დაშნაკელები, უბრალო ყოფილი მოხელენი და თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელნი-ყველანი ერთი ენით და კილოთი ამხედრდნენ ქალაქის ახალი დებულების წინააღმდეგ, რომ საქალაქო არჩევნები მოხდეს არა საქართველოს

[121] პრესა. გაზ: „ერთობა“, 10 იანვარი 1919, #6. გვ. 1.
[122] პრესა. გაზ: „ერთობა“, 10 იანვარი 1919, #6. გვ. 1-2.

პარლამენტი მიერ მიღებული კანონით, არამედ იმ დებულებით, რომელიც რუსეთის დროებითმა მთავროამ შეიმუშავა“.[123]

წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისად გაზეთი „ერთობა“ 12 იანვარს იღებს, როდესაც გაზეთში იბეჭდება პროგრამული მნიშვნელობის სტარატეგია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. წინასაარჩევნო კამპანიის პირობებში პარტიული დაპირისპირების ფრონტს პარტია 3 ნაწილად ყოფს: „ფრონტი საქართველოს დამოუკიდებლობისა“, „ფრონტი აგრალური საკითხისა“ და „მესამე ფრონტი შინაურ მტრის წინააღმდეგ იქნება მიმართული“.[124] პირველ ფრონტს, ავტორი მთავარ ფრონტ უწოდებს და ამბობს, რომ მიმართული იქნება „გარეშე მტრის წინააღმდეგ“ რომლის გარშემოც თავს მოიყრიან ის პარტიები, რომლებიც წინააღმდეგი არიან საქართველოს დამოუკიდებლობის, მეტიც ებრძვიან ამ დამოუკიდებლობას და რუსეთთან გაერთიანებისკენ მიილტვიან, აქ იქნებიან ის ჩინოვნიკებიც, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობამ „შტატ გარეშე“ დატოვა და ჭეშმარიტი სულისკვეთების დასამალად ესერების რიგებს შეუერთდა, „ამ ბანაკის უკიდურეს მემარცხენე ფლანგს შეადგენენ ჩვენი გუშინდელი ამხანაგები, დღეს კი მტრად გადაქცეულნი, რომლებსაც წარსულ წლის თავგადასავალმა ისტორიული ფერუმარილი ჩამოსწმინდა და რომელთა ნამდვილი სახე აღმოჩნდა ან დაშნაკური „დიდ-რუსეთის“ იდეით გაშუქებული“.[125] ავტორი ამბობს, რომ მათი პარტიისთვის პრინციპული საკითხია საქართველოს დამოუკიდებლობა და ვერ შეეგუებიან ამ იდეების მოწნააღმდეგეებს და მათ მტრებად მიიჩნევენ მიუხედავად იმისა თუ რა მიზნით არიან ამ იდეის წინააღმდეგები. პარტიისთვის მეორე ფრონტი მამართული იქნება „შინაური მტრის“ წინააღმდეგ ეს არის „ფრონტი აგრალურ საკითხისა“. ამ ბანაკში თავს მოიყრის ყველა ის პარტია, რომელიც უკმაყოფილოა პარლამენტის მიერ მიღებული „აგრალური კანონის“. წართმეულ მემამულეების გარდა ამ ბანაკს შეადგენენ ჩვენი მოკავშირეები სხვა საკითხებში, სოციალ-რევოლუციონერები და სოციალ-ფედერალისტები, ეს არის ის საკითხი, რომელიც ავტორის თქმით მოყვარეებს მტრდ

[123] ქალაქის არჩევნებისთვის. გაზ: „ერთობა“, 11 იანვარი 1919, #7. გვ. 1.
[124] საარჩევნ კამპანიის დასაწყისი. გაზ: „ერთობა“, 12 იანვარი 1919, #8. გვ. 1.
[125] საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. გაზ: „ერთობა“, 12 იანვარი 1919, #8. გვ. 1.

ხდის, ამ საკითხს სოციალ-დემოკრატები მიიჩნევენ ხალხის ნების გამოხატულებად. პარტიის წინასაარჩევნო მესამე ფრონტიც შინაურ მტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. მას უწოდებდნენ „ბანაკი ერების ურთიერთობისა“ ანუ „ბანაკი ომისა და ზავისა“, „ამ ბანაკში თავს მოიყრიან სხვადასხვა ხარისხის ნაციონალისტები, მთავარი განსახილველი საკითხი იქნება საქართველოს მთავრობის პოლიტიკას სომხეთის რესპუბლიკის მიმართ, ისინი იერიშს მოიტანენ ჩვენს პოლიტიკზე, რომელიც იდგა სახელმწიფოთა შორის კეთილ-განწყობაზე და მშვიდობიანობაზე, იერიშს მოიტანენ და დაუპირისპირებენ უკვე მოძველებულ მაგრამ მილიტარისტულ მეთოდს“[126]. ბოლოსავტორი ამბობს, რომ პარტიამ უნდა გაითვალისწინოს ყოველი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გარშემოც ატყდება ბრძოლა, უნდა გაარკვიოს რა მხრივ არის მოსალოდნელი მტრის შემოტევა და როგორ უნდა შეუტიოს თვითონ.[127]

წინასაარჩევნო ბატალიებში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო“, რომელიც ისევე როგორც სხვა პარტიული გაზეთები აქტიურად აკრიტიკებდა ოპონენტებს, სახავდა სამომავლო გეგმებსა და ამომრჩეველს მოუწოდებდა ხმა მიეცათ მათთვის, რადგან საუკეთესო სამომავლო გეგმები სწორედ მათ ჰქონდათ. ისევე როგორც სხვა პარტიის გაზეთებში აქაც ჩანდა ის ფაქტი, რომ პარტიების ნაწილს ერთმანეთთან ღრმა ანტაგონიზმში იყვნენ, ნაწილი კი „ერთმანეთთან თანამშრომლობას არ გამორიცხავდა“.

დამფუძნებელი კრების არჩევნებს ეხება გაზეთი საქართველო 1919 წლის 2 თებერვლის ნომერი. ნომერის პირველ გვერდზე გვხვდება სტატია სათაურით „რად იმარჯვებს ეროვნული დემოკრატია?“. აქ საუბარია საქალაქო არჩევნებში პარტიის წარმატების შესახებ, რასაც ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამფუძნებელთა კრების არჩევნების წინ. ავტორი ხაზს უსვამს იმ მიზეზებს, რის გამოც ხალხი მეტ ნდობას უცხადებს მათ პარტიას „კიდევ მეტი ომისა და რევოლუციის ცეცხლს არსებითად მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნება გადაურჩა, მწყობრი მარქსისტული და სოციალისტ-ფედერალისტული დოქტრინებისგან კი დღეს ნაშთებიღა დარჩა.

[126] საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. გაზ: „ერთობა“, 12 იანვარი 1919, #8. გვ. 1.
[127] საარჩევნო კამპანიის დასაწყისი. გაზ: „ერთობა“, 12 იანვარი 1919, #8. გვ. 1.

გავიხსენოთ ის ცხოველი იდეები, რომელიც ჩვენ პირველად დავუპირისპირეთ სოციალისტების გაყინულ დოგმებს. ჩვენ პოლიტიკურ ბრძოლაში პირველად შევიტანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი. მაშინ სოციალისტური უმრავლესობა წინააღმდეგი იყო თვით ტერიტორიული ავტონომიისა, ეროვნული სახელმწიფო ქართველ სოციალ-დემოკრატებს რეაქციურ და უტოპიურ იდეათ მიაჩნდათ, მხოლოდ სოციალ-ფედერალისტები ითხოვდნენ რუსეთის მოწყობას ფედერატიულ პრინციპზე. მაგრამ ფედერალისტები სამაგიეროთ ებრძოდნენ დიდი საქართველოს იდეას".[128] აქვე საუბარია აგრალურ კანონზე და ამ კანონის მიღებაში ეროვნულ-დემოკრატების როლზე: „ძველი დროგადასული აგრალური ურთიერთობის სალიკვიდაციოდ ეროვნულმა დემოკრატიამ მოითხოვა მსხვილი მამულების ჩამორთმევა და გლეხებზე გადაცემა სასყიდლითა და კერძო საკუთრების სახით, ამის წინააღმდეგ სოციალდემოკრატები მიწის მუნიციპალიზაციას მოითხოვდნენ, ხოლო ფედერალისტები სოციალიზაციას: ორივე მიმართულება დავდაპირველად თანახმა იყო, რომ გლეხს მიწა უსასყდლოთ მისცემოდა. ამ ერთი კვირის წინათ სოციალისტურმა პარლამენტმა მიიღო აგრალური კანონი, რომელიც აშკარად ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნების ბეჭედს ატარებს: ამ კანონში დაცულია როგორც კერძო საკუთრებისა, ისე შესყიდვის პრინციპი. ეს არის ორიოდე საყურადღებო ნიმუში სოციალისტების კაპიტულაციისა ეროვნულ დემოკრატიული იდეოლოგიის წინაშე. სოციალ-დემოკრატია პროლეტარიატის პარტიაა, ფედერალისტები თვიანთ თავს ბუნდოვნად „მშრომელი ხალხის" იდეოლოგებს უწოდებენ. ამ ადამიანებს არ შეუძლიანთ ინტეგრალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება".[129] სტატიის ავტორი, აგრეთვე დასძენს, რომ ცოტა ხანში ქვეყანა ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდება ვინაიდან სოციალური და ეკონომიკური პრობლემები სახეზე. მათი აზრით მდგომარეობიდან გამოსასვლელად რადიკალური გადაწყვეტილებებია საჭირო რაც სოციალ-დემოკრატებს არ სძალუძთ. „რკინის ხელი და დრაკონის კანონებია საჭირო, რომ საქართველომ თავი დააღწიოს ფინანსურ კრიზისს და პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად ქონებრივი დოვლათიც მოიპოვოს, ხოლო ამგვარი

[128] რად იმარჯვებს ეროვნული დემოკრატია?. გაზ: „საქართველო", 2 თებერვალი 1919. გვ. 1-2.
[129] რად იმარჯვებს ეროვნული დემოკრატია?. გაზ: „საქართველო", 2 თებერვალი 1919. გვ. 2.

კანონების გამოსაცემად საჭიროა ძლიერი ნებისა და მკაცრი ვალდებულების ადამიანები, რომელნიც ყველაზე მეტად სახელმწიფოს კეთილდღეობას აფასებენ“[130] დასძენს ავტორი.

გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 4 თებერვალის ნომრის მეორე გვერდზე გვხვდება საინტერესო სტატია, რომლის ავტორიც გიორგი გვაზავაა,[131] სადაც ავტორი პასუხობს სოციალ-დემოკრატების ორგანოში, გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ სტატიას (26-ე ნომერი), სადაც იწერება, რომ: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმოდგენით ერი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილია მემამულეები და ვაჭრები, სხვა ამ პარტიას ეროვნული არაფერი აცხია. რაც შეეხება სახელწოდების მეორე ნაწილს, ესეც ხალხის მასხრად აგდებაა, რადგან დემოკრატია ჰგულისმობს ხალხს, ხალხის ბატონობას, ხოლო ვაჭრების და მემამულეთა ბატონობა პირდაპირ უარმყოფელია ხალხის და მისი ძლევამოსილების“. გიორგი გვაზავა ამბობს, რომ ამ სტატიის ყველა ფრაზა სავსეა მიზანშეწონილი სიცრუით: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ვაჭრებს თუ მემამულეებს იცავს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა სახელმწიფოს ინტერესებისთვის. ამავე საზომით ხელმძღვანელობს იგი, როცა კითხვა ეხება მუშებს და მათ ინტერესებს. მემამულე, ვაჭარი, მუშა-ყველა ეს მხოლოდ ნაწილია ერისა. ამიტომ შეუძლებელია სამსახური ერისა, თუ მხოლოდ ერთს მის ნაწილს ემსახურები, თუ გატაცებული ხარ კლასობრივ-ეგოისტურ მიზნებით და ვერა ჰხედავ საერთო ინტერესს. სწორედ ამისთანა ყოფაშია სოციალ დემოკრატიული პარტია“.[132] ამის შემდეგ გვაზავა გადადის სოციალ-დემოკრატების კრიტიკაზე და ამბობს: „სოციალ-დემოკრატები კი მხოლოდ სიტყვით არიან დემოკრატები, საქმით კი პირდაპირ იბრძვიან დემოკრატიის წინააღმდეგ. მათი მოძღვრებით მემამულეები შეიძლება სრულებით გაძარცოთ, უსასყიდლოდ ჩამოართვათ მიწა-წყალი და მშიერ-მწყურვალი ქალები და ბავშები გაჰყაროთ ქუჩაში, ვაჭრებს შეაწყვეტინოთ ვაჭრობა და მრეწველებს მათი საქმის წარმოება. მათი აზრით, დემოკრატია არის მხოლოდ თბილისის დეპოს მუშები და ტრამვაის კონდუქტორები... რა

[130] რად იმარჯვებს ეროვნული დემოკრატია?. გაზ: „საქართველო“, 2 თებერვალი 1919. გვ. 1-2.

[131] გიორგი გვაზავა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო და საარჩევნო სიაში პარტიის მე-4 ნომერი იყო.

[132] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 4 თებერვალი 1919. გვ. 2.

არის ეს, თუ არა მართლა გამასხარავება დამოკრატიულ პრინციპისა ?!“[133], „ჯერ შინაური ბრძოლით გაანადგურეს ქართველობის ერთი ნაწილი და შეასუსტეს ჩვენი ეროვნული ორგანიზმი; შემდეგ, ხელში რომ ჩაიგდეს ჩვენი ქვეყვნის მართვა-გამგეობა, ვერ იქნა, ვერ მოახერხეს დადგომა სახელმწიფოებრივ სიმაღლეზე და განაგრძობენ თავის კლასობრივ პოლიტიკას, ამის შემდეგ იყო ყველანაირი დამარცხება ბათომი დავკარგეთ, რადგანაც დროზე ვერ მოვახერხეთ დიპლომატიურად საქმის მოგვარება, აჭარა დავკარგეთ, რადგანაც „დროზე“ შევიტანეთ კლასობრივი ბრძოლის შხამი, ბორჩალოც თითქმის დავკარგეთ, და დღეს არ ვიცით რა მოგველის ახალციხეში“.[134] გვაზავას წერილის ძირითადი პათოსი სოციალ-დემოკრატების, არჩევნებში მათი მთავარი კონკურენტების დისკრედიტაცია და ხშირ შემთხვევაში ობიექტური პრობლემების, რაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 1919 წლის დასაწყისამდე შეექმნა სწორედ ხელისუფლებას, სოციალ-დემოკრატებს დაბრალდა გვაზავას მხრიდან.

გიორგი გვაზავა გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 6 თებერვლის ნომერშიც (N28) აგრძელებს სოციალ-დემოკრატების კრიტიკას. პირველ და მეორე გვერდზე ვკითხულობთ გიორგი გვაზავას სტატიას სახელწოდებით „საარჩევნო კამპანია“. სტატია იწყება სოციალიზმზე საუბრით, გვაზავა ამბობს: „სოციალიზმი ჰღაღადებს მომავალ კაცობრიობის ბედნიერებაზე, როცა შრომა განთავისუფლებული იქნება კაპიტალის ბატონობისგან, როცა მოსპობილი იქნება კერძო საკუთრება, როცა არ იქნება არავითარი გარჩევა ადამიანთა შორის, ყველა იქნება კმაყოფილი და ბედნიერი“[135]... ამის შემდეგ ავტორი იწყებს კრიტიკას „როგორ ბედავთ, აქ სრულ ბედნიერებაზა ლაპარაკი, საყოველთაო სამოთხეზე, აბა ვინ იქნება ამის წინააღმდეგი? რომელ გულს არ გაიტაცებს ამისთანა მოძღვრება, რომელ გონებას არ აღაფრთოვანებს იგი? მაგრამ სწორედ ამ მომხიბვლელობაშია საციალიზმის ერთგვარი საფრთხე. მოუმზადებელ გონებას ჰგონია, რომ ეს სამოთხე ადვილი მისაღწევია, რომ შეიძლება იგი ეხლავე შეიქმნას, ეხლა

[133] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 4 თებერვალი 1919. გვ. 2.
[134] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 4 თებერვალი 1919. გვ. 2.
[135] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 6 თებერვალი 1919. გვ. 1-2.

გადასხვაფერდეს ცხოვრება და ქვეყნიერება, ამისთანა მოძღვრება იტაცებს იმას ვინც გაჭირვებულია, ვინც მაშვრალია და მოქანცული ცხოვრების უკმაყოფილებით“.[136]

გაზეთ საქართველოს 1919 წლის 7 თებერვლის ნომერში (N29) გრძელდება გიორგი გვაზავას წერილების სერია სახელწოდებით საარჩევნო კამპანია, სადაც აქცენტი კვლავ სოციალიზმის და სოციალ-დემოკრატების კრიტიკაზეა დასმული: „საქართველოს გამოფხიზლება სოციალისტური ბურანისგან აუცილებლად საჭიროა. თუ არ გვინდა ყველაფერი დავკარგოთ. სამწუხაროდ, ეს ადვილი საქმე არ არის. ოცდა ხუთი წელიწადი სიტყვით და კალმით ხალხს ჩასჩიჩინებდნენ, რომ მუშა ხალხის ინტერესები ეწინააღმდეგება ყველა დანრჩენ კლასების ინტერესებს, რომ მუშა ხალხს ჰყვლეფავენ გაბატონებული კლასები და ამიტომ საჭიროა მხოლოდ ბრძოლა ამ მოწინააღმდეგე კლასების დასამხობად. ამისთანა მოძღვრებით, რასაკვირველია, თანდათან წაიშალა ყოველი შეგნება ეროვ. ინტერესებისა და ეროვნული ღირსებისა. თვით ჩვენი სამშობლოს სახელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიამ ამოშალა თავისი პროგრამიდან და განდევნა სიტყვიერი ხმარებისგან: პარტიამ დაირქვა რუსეთის სახელი და ხალხის ყურადღება და ფიქრი მოაბრუნა რუსეთის პოლიტიკური ცენტრისკენ. წარმოიდგინეთ, მაშინაც კი, როცა დაინგრა რუსეთი და საქართველო თავისთავად თავისუფლდებოდა, ჩვენია სოციალ დემოკრატია ყოველი ძალით და ღონით ებრძოდა ამ განთავისუფლებას,“ „მოიგონეთ ტელეგრამა, რომელიც იყო გაგზავნილი პეტროგრადში, როცა კიტა აბაშიძე დანიშნულ იქნა ამიერკავკასიის კომისრად: „არ შეიძლება მისი დანიშვნა, იგი არ არის მომხრე რუსეთის ერთი ცენტრისა“ მაგრამ საქართველო მაინც განთავისუფლად თავისთავად, ჩვენი სოციალ-დემოკრატების სურვილის წინააღმდეგ“.[137] ბოლოს კი თავისი სააგიტაციო წერილისა გვაზავა კიდევ ერთხელ მოუწოდებს ამომრჩეველს, რომ ხმა მისცენ პარტიას, რომელიც იცავს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

წინასაარჩევნო პროცესებს ეხება გაზეთ „საქართველოს“ იმავე ნომრის სტატია მეორე გვერდზე სახელწოდებით „ფედერალისტები არჩევნებში“ წერილი სამუხრანოდან. სტატიის ავტორია ფსევდონიმით „მნახველი“: „მოახლოვდა დამფუძნებელ კრების

[136]გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 6 თებერვალი 1919. გვ. 2.
[137] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო“, 7 თებერვალი 1919, #29. გვ. 1.

არჩევნები, სოფლები გაივსო პარტიათა ახლად შობილ პროპაგანდისტებით, მოდიან გუნდები, მოდიან ქარვანები ცარიელი სიტყვებით და უნდო დაპირებებით. ფედერალისტები: ამაყები, ნაცარქექიები ცარიელა სიტყვები, თავის ქება. ყვირილი, ვინც მათი მომხრეა ჯილდოთ ვინტოკას აძლევენ. დუშეთის მაზრამ სწორედ ამ ვინტოკებისთვის მოახდინა აჯანყება წარსულ წელს და ფედერალისტებმაც ალბათ გაუგეს ხალხს სულისკვეთება. ხალხში ხმებია: ვინტოვკების წყალობით დუშეთის მაზრა სოც.-ფედერალისტების მე-5-ე ნომერს აძლევს ხმასო".[138]

გიორგი გვაზავას წინასაარჩევნო აგიტაცია „საქართველოს" შემდეგი დღის ნომერში გრძელდება. ავტორი გრძელდება სოციალ-დემოკრატიის კრიტიკას ამჯერად მიზეზი შრომის დაცვის და მოწესრიგების საკითხებია: „თუ რამდენად უბადრუკია და უმწეო სოციალ-დემოკრატიული პარტია სახელმწიფოებრივ ხასიათის კანონმდებლობაში, ეს აშკარად ჩანს შრომის დაცვის და მოწესრიგების საკითხებში".[139] გვაზავა ამბობს, რომ ორივე საკითხი მნიშვნელოვანია და საჭიროა თანაბარი ყურადღება დაეთმოს, ორივე აუცილებელია ეკონომიკური განვითარებისთვის და კულტურული ცხოვრებისთვის: „ჩვენმა სოციალისტებმა, რომელნიც მთავრობას უდგანან სათავეში, ჯერ ვერ გამოსცეს ვერცერთი კანონი, მიმართული შრომის დასაცველად. მართალია გამოიცა რამდენიმე დეკრეტი და ცირკულიარი, მაგრამ ეს რევოლუციონურ ხანას ეკუთვნის, როცა ჩვენს ქვეყანას განაგებდა ნეტარ ხსენებული კომისარიატი".[140]

იმავე ნომრის პირველ გვერდზეა საინტერეს სტატია, რომელშიც ავტორი უკვე სოციალისტ-ფედერალისტების კრიტიკაზე გადადის. სტატიის სათაურია „ფედერალისტების მაქსიმალიზმი" ამ სტატიაში რა თქმა უნდა ავტორი აკრიტიკებს სოციალ-ფედერალისტებს სტატიის დასაწყისში ის აღნიშნავს „ბევრჯერ შეგვინიშნავს, რომ ს.ფედერალისტების იდეოლოგია ძალიან მჭლეა, შეიძლება ითქვას კიდეც, რომ იდეოლოგია სრულებითაც არ არსებობს... მაშინ, როცა ავტონომიის საკითხი იყო დასმული ქართულ პრესაში ფედერალისტები ჰქმნიდნენ იდეოლოგიის ილუზიას, მაგრამ

[138]ფედერალისტები არჩევნებში. გაზ: „საქართველო", 7 თებერვალი 1919, #29. გვ. 2.
[139] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 2.
[140] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 2.

ბოლო დროს ავტონომიის საკითხი, ისე დააწვრიმალეს, რომ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სოციალ-დემოკრატები უფრო იჩენდნენ ეროვნულ სიმტკიცეს, ვინემ სოციალისტ-ფედერალისტები".[141] ავტორი ამბობს, რომ ფედერალისტების ტაშს უკრავდნენ სოციალ-დემოკრატებს ყველა გამოსვლაზე და საპარლამენტო მუშაობაში ყველაზე მეტ წინააღმდეგობას სწორედ ეროვნულ-დემოკრატებს უწევდნენ. ასევე ავტორი იხსენებს წერილს, რომელიც სახალხო საქმეში გამოქვეყნდა სახელწოდებით „ახალი საკითხი", სადაც ეწერა: ამ ჟამით არავითარი არსებითი განსხვავება არ არის ეროვნულ-დემოკრატების პროგრამასა და სოციალ-დემოკრატების პრაქტიკას შორის და სწორედ ეს გარემოებაა ის მიზეზი, რომელიც ჩვენ გვაშორებს სოციალ დემოკრატიას, რომელიც ჩვენ გვაიძულებს ხელი გაუშვიროთ საქართველოს მუშა ხალხს და უთხრათ: შენ აღსდექი სოციალიზმის დროშით, მაგრამ სოციალიზმის დროშითვე შენი განვითარება სოციალ-დემოკრატიას აღარ შეუძლიან"[142] - ამ ბრალდებას ავტორი ასე პასუხსობს: „ჩვენ ერთხელ კიდევ ავღნიშნავთ ამ აზრის სიმართლეს, უსათუოდ მართალია, რომ სოციალ დემოკრატები შეგნებულად ადგებიან ეროვნულ-დემოკრატების პოლიტიკას, მაგრამ საკითხავია, როგორ პოლიტიკას აწარმოებენ სოციალ-ფედერალისტები და ან რისი იმედი უნდათ, თუ ს.-დემოკრატებს დაშორდნენ, შემდეგში იარსებონ. თუ ისეთი მძლავრი პარტია, როგორიც მენშევიკების პარტიაა, საქართველოს სინამდვილის ლოღიკამ ისე მოხარა, რომ თავისი სახე დაუკარგა, რა უნდა დაემართოს ფედერალისტებს რომელთაც არასდროს საკუთარი სახე არ ჰქონიათ, არც ისე ძლიერი ორგანიზაცია, რომ რაიმე სახელმწიფოებრივი საქმე გააკეთონ".[143] „არც ისე შორს არის ის დრო, როცა მენშევიკები ფედერალისტებს სოციალისტებათ არ თვლიდნენ და ჯვაროსნულ ომს უცხადებდნენ, მართლა ბევრი უნდა დაეკარგათ სოციალ-დემოკრატებს, რომ ეხლა ფედერალისტები აყვედრიან სოციალისტები არ ხართო, მაგრამ ამით ფედერალისტებს მაინც რა უნდა მოემატოს?.."[144] ავტორი უყურადღებოთ არ ტოვებს არც მაშვრალთა პარტიას და წერს: „თუ სოციალ-

[141] ფედერალისტების მაქსიმალიზმი. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 1.
[142] ფედერალისტების მაქსიმალიზმი. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 1.
[143] ფედერალისტების მაქსიმალიზმი. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 1.
[144] ფედერალისტების მაქსიმალიზმი. გაზ: "საქართველო", 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 1.

დემოკრატიული მაქსიმალიზმი ბანძელ ყაჩაღებში გამოიხატა, ფედერალისტური მაქსიმალიზმი უფრო კომიკურ ხასიათს იღებს მაშვრალთა პარტიის იდეოლოგიის სახით“ - აღნიშნავს ავტორი.[145]

გაზეთ საქართველოს 1919 წლის 9 თებერვლის ნომერში (N31) გრძელდება არჩევნებში მონაწილე სუბიექტების კრიტიკა, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ ყურადღებას გაზეთი, კვლავ ამახვილებს სოციალ-დემოკრატიის ნაკლოვანებებზე, თუმცა მათთან ერთად მოწინააღმდეგეთა სიაში შედიან სოციალ-ფედერალისტები და ესერები. ამ პარტიებზე გაზეთი წერს: „ფედერალისტების პარტიას უნიადაგობაში ეჯიბრება ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია. ერთი შეხვედით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ორივე პარტიების პროგრამა გადმოწერილია რუსული ნაროდნიკების პროგრამიდან. რუსეთის რევოლუციამ დაამტკიცა, რომ ესერების წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგია ვერ გაიტაცებს რუსეთის ხალხს, რომელსაც ერთ პოლონელ მწერლის თქმით თვითონ სახსრებშიც სოციალიზმი ელანდება მხოლოდ იმას, ვინც რუსეთს არ იცნობდა, ეგონა, რომ ლენინის კომუნიზმი არ გამოხატავს რუსეთის ხალხის სულს. ყოველი დღე რევოლუციის მსვლელობისა ამტკიცებს, რომ რუსის ესერებს, ცხოვრება რიყავს და ოდესღაც ძლიერი პარტია დღეს ყოველ გამოსვლაში მარცხდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფრონტი დაიშალა და ომი დამთავრდა“.[146] „არც ქართველ ესერებს ეწიათ უკეთესი ბედი, რუსეთიდან ნასესხები პროგრამა საქართველოსთვის სრულიად ზედმეტი გამოდგა, სოციალ-დემოკრატებმა იმდენი გამბედაობა მაინც გამოიჩნეს, რომ უღალატეს ორტოდოქსს მარქსიზმს და შეეგუეს ქართულ სინამდვილეს, მათ ძალიან ბევრი დათმეს თავიანთი პროგრამიდან, რომ საქართველოს სახელმწიფოს შექმნისთვის ემუშავათ. სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის იდეოლოგია კი გაყინულია, მათი პუბლიცისტები დღესაც იწერენ ლავროვიდან და მიხაილოვსკიდან გრძელ ციტატებს ლათინური ანდაზებით და ამით ალბათ პროგრესს ემსახურებიან და ქართულ პოლიტიკას ჰქმნიან“[147]. „მართალია ბოლო დროს თითქოს

[145] ფედერალისტების მაქსიმალიზმი. გაზ: “საქართველო“, 8 თებერვალი 1919, #30. გვ. 2.
[146] უნიადაგო პარტია. გაზ: „საქართველო“, 9 თებერვალი 1919, #21. გვ. 1.
[147] უნიადაგო პარტია. გაზ: „საქართველო“, 9 თებერვალი 1919, #21. გვ. 1-2.

დაეტყო მათ გაზეთსა და პარტიას მეტი სიცხოველე და გამემარცხენება საქართველოს დამფუძნებელ კრების სიის შედგენაშიც გამოიხატა, მაგრამ ჩვენ ვიცით, როგორია ბედი საქართველოში მაქსიმალიზმის და სოციალისტ-რევოლიუციონერებიც ვერ გაუსწრებენ მენშევიკებს და ფედერალისტებს. ამიტომ ღიმილით იკითხვება „შრომა“-ში შემდეგი სტრიქონები: „მშრომელი ხალხი ენდობა მხოლოდ მათ, რომელთა პროგრამას ცხროვრებამ და კერძოთ რუსეთის დიდმა რევოლუციამ სრული გამარჯვება მიანიჭა. ასეთი პარტია კი არის მხოლოდ გლეხობის და ქალაქის მუშების, ყველა ჩგრულთა და წამებულთა პარტია სოციალსტ-რევოლუციონერების“[148]. „იმედი რომ კარგი საქონელია ეს და „შრომის“ პუბლისცისტებმა იციან მაგრამ ესერების გამარჯვება მაინც ძალიან საეჭვოა. თბილისის ქალაქის არჩევნებმა დაამტკიცა, რამდენად მოკლებულია ნიადაგს ეს პარტია ქართველ მუშებში და დემოკრატიაში დადამფუძნებელი კრება კიდევ ერთხელ დაამტკიცებს მათ უნიადაგობას“.[149]

ამავე ნომერში გრძელდება გიორგი გვაზავას „საარჩევნო კამპანია“ ამჯერად სტატია ეხება „მიწის საკითხს“, სადაც გიორგი გვაზავა აკრიტიკებს სოციალ დემოკრატების მიდგომებს მიწის საკითხზე და თვლის, რომ მიწის ჩამორთმევა უსასყდლოდ არის ყაჩაღობა: „ვინც იცის რამდენი ბავშვები და დედაკაცები დაწანწალებენ ქუჩა-ქუჩა ამ „დემოკრატიული“ რეფორმის წყალობით, უსამართლობა ამით არ თავდება. მემამულეებს ნება ეძლევათ შეინარჩუნონ ნორმა, ე.ი. ან 7 დესეტინა ვენახი, ან 15 დესეტინა სახნავ-სათესი, ან 40 დესეტინა საბალახო. ეს ყველგან მთელ საქართველოში. აშკარაა, ჩვენს რეფორმატორებს ჰგონიათ, რომ მთელი საქართველო წარმოადგენს ერთ გაშლილ ველს, სადაც ყველგან ერთი და იგივე ნიადაგი, ჰავა, მოსახლეობა, ბაზრის სიშორე და მრავალი სხვა ეკონომიკური პირობები და ამიტომ მიიღეს ერთი და იგივე რაოდენობით ნორმა საქართველოს ყოველი კუთხისთვის. ეს არის ნიმუში მათი ცოდნისა. მეორე, ვისაც რვა დესეტინა აქვს, იგი შეინარჩუნებს 7 დესეტინას და ვისაც ასი

[148] უნიადაგო პარტია. გაზ: „საქართველო“, 9 თებერვალი 1919, #21. გვ. 2.
[149] უნიადაგო პარტია. გაზ: „საქართველო“, 9 თებერვალი 1919, #21. გვ. 2.

დესეტინა აქვს, ისიც შვიდს. ვისაც 16 დესეტინა ააქვს სახნავ-სათესი, იმას დარჩება 15 დესეტინა და ვისაც 1000-იმასაც იმოდენივე".[150]

[150] გიორგი გვაზავა. საარჩევნო კამპანია. გაზ: „საქართველო", 9 თებერვალი 1919, #21. გვ. 2.

დასკვნა

ჩვენს მიერ განხილული და შესწავლილი მასალების განხილვისა და ანალიზის შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები: საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უმაღლესი წარმოამდგენლობითი ორგანოს დამფუძნებელთა კრების არჩევნებს, რომელიც ჩატარდა მაღალი დემოკრატიული ხარისხით და მისი პრინციპების სრული დაცვით, ეს არჩევნები გამორჩეულია მთლიანად საქართველოს საპარლამენტო და საარჩევნო ისტორიაში. 100 წლის წინ საქართველოში არჩევნები ჩატარდა იმ საარჩევნო დებულების მიხედვით, რომელიც ითვალისწინებდა საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და პროპორციულ პრინციპებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდათ ქალებს, რაც იმ დროისთვის დიდ პროგრესულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ბევრ ქვეყანაში ამ დროისთვის ქალებს არ გააჩნდათ საარჩევნო ხმის უფლება (ავსტრიელმა, გერმანელმა, ჰოლანდიელმა, პოლონელმა, შვედმა, ლუქსემბურგელმა და სხვ. ხალხებმა ქალთა საარჩევნო ხმის უფლება მოგვიანებით დააკანონა).

ცალკე აღნიშვნის ღირსია საარჩევნო დებულება, რომელიც უნდა ჩაითვალოს სრულყოფილ იურიდიულ აქტათ, იგი მაღალი დონის და მორალის სტანდარტებს შეიცავდა, კრძალავდა სამხედრო პირების არჩევნებში მონაწილეობას, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ამომრჩეველთა მოსყიდვას, გარკვეული სახის აგიტაციას და სხვა.

მნიშვნელოვანია საარჩევნო კომისიის მიერ გაწეული სამუშაო, რომელიც ზრუნავდა კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციაზე, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ იურიდიულ მხარესა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

ჩვენთვის კვლევის მთავარი ხაზი გადიოდა პოლიტიკური პარტიების პროგრამების და იდეოლოგიების განხილვაზე, ასევე მათ შორის წარმოებულ დაპირისპირებებზე, რომელიც ნამდვილად დემოკრატიულად მიდიოდა და ინტელექტუალურ ხასიათს ატარებდა. 15 პოლიტიკურ სუბიექტს გააჩნდა საკუთარი განსხვავებული შეხედულებები, მიუხედავად იმისა, რომ პარტიების უმრავლესობა ახალ შექმნილი იყო და რთულია მათი პროგრამის და იდეოლოგიების შესწავლა და განხილვა, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ წამყვანი პარტიები, რომლებიც პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ გარკვეული მხარდაჭერით სარგებლოდნენ საზოგადოების

მხრიდან მათი პოლიტიკური იდეიდან გამომდინარე. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიული პარტიის დიდი უპარიტესობისა, რაც ალბათ უფრო პოლიტიკურმა სიტუაციამ და იმან განაპირობა, რომ მმართველი პარტია იყო და ბუნებრივია დიდი გავლენით სარგებლობდა, გამოიკვეთა სხვა და სხვა იდეოლოგიები, რომლებიც საზოგადოებისთვის საინტერესო აღმოჩნდა.

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ საკითხის ჩვენებური კვლევა, რა თქმა უნდა ამომწურავი ვერ იქნება, თემა იმდენად აქტუალური, მნიშვნელოვანი და მრავალმხრივია, რომ საჭიროებს სკრუპლუოზურ შესწავლას თითოებული დეტალზე დაკვირვებით, რასაც სამაგისტრო ნაშრომის ფორმატი არ გულისხმობს და შესაბამისად მოგვიწია ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გვერდზე გადადება.

გამოყენებული ლიტერატურა:

საგაზეთო სტატიები:

1. გაზ: „სახალხო საქმე“, 29 იანვარი 1919, #443.
2. გაზ: „სახალხო საქმე“, 22 იანვარი 1919, #437.
3. გაზ: „სახალხო საქმე“, 21 იანვარი 1919, #436.
4. გაზ: „ერთობა“, 10 იანვარი 1919, #6.
5. გაზ: „ერთობა“, 11 იანვარი 1919, #7.
6. გაზ: „ერთობა“, 12 იანვარი 1919, #8.
7. გაზ: „საქართველო“, 2 თებერვალი 1919.
8. გაზ: „საქართველო“, 4 თებერვალი 1919.
9. გაზ: „საქართველო“, 6 თებერვალი 1919.
10. გაზ: „საქართველო“, 7 თებერვალი 1919.
11. გაზ: “საქართველო“, 8 თებერვალი 1919.
12. გაზ: „საქართველო“, 9 თებერვალი 1919.

სამეცნიერო ლიტერატურა:

13. **ბ. კუპატაძე.** საქართველოს ხელისუფლების ისტორია. თბ, 2009.
14. **ი. ირემაძე, ს. ჭანტურიძე.** პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბ, 2017.
15. **ა. ბენდიანიშვილი.** საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ, 2001.
16. **ზ. ცინაძე.** საქართველოს დამფუძნებელთა კრების არჩევნები და სტრუქტურა (ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად). ხელნაწერის უფლებით. თბ, 2012.

17. დებულება დამფუძნებელთა კრების არჩევნებისა. თბ, 1918.
18. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921). ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბ, 2018.
19. რედ. **მ. მაცაბერიძე.** საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები (1906-1921) (კრებული II - სოციალისტური პარტიების პროგრამები). თბ, 2008.
20. **შ. ვადაჭკორია.** ქართული სოციალ-დემოკრატია (1917-1921 წწ). თბ, 2001.
21. **ნ. სონღულაშვილი.** ეპოქის გამოწვევა და ქართული ეროვნული იდენტობა (1900-1921). თბ, 2013.
22. **ს. ჯონსი.** სოციალიზმი ქართულ ფერებში. თბ. 2007.
23. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პროგრამები 1906-1921. კრებული I. თბ.
24. **ო. ჯანელიძე.** ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან. თბ, 2002
25. **დ. შველიძე.** პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქარტველოში, ფედერალისტები. თბ, 1993.